645 1/2
1985



ISSN 0321—1509

# საქართველოს ქალი

6
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!



დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი.

„საქართველოს ქალი".
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

645
1985/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



17.970

# ახალგაზრდობა წინმავალი რაზმია

## საუბარი კასპის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანთან მაყვალა ბერიანიძესთან

კ ი თ ხ ვ ა: — თქვენი ცხოვრება და შრომა კომკავშირთან არის დაკავშირებული. თქვენ ხართ მისი, ასე ვთქვათ, ნაცადი ხელმძღვანელი. სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყავით და მთელი საშუალო სკოლა თქვენ მოგყვებოდათ ყოველ საქმეში. სკოლა წარმატებით დაამთავრეთ, მაგრამ ერთხანს, მუშური ცხოვრება არჩიეთ და კასპის „ელექტროაპარატში" მუშად დაიწყეთ მუშაობა. კარგ პროდუქციას უშვებდით. საიმედო დანადგარებით ამარაგებდით ელექტრომრეწველობას. აქაც ლიდერი იყავით ქარხნის ახალგაზრდებისა. კომკავშირის სიხხლსავსე ცხოვრება თქვენი ენერგიული შემართებით ჩქეფდა. სტუდენტი გახდით და კომკავშირის კასპის რაიკომში საორგანიზაციო განყოფილებას განაგებდით. ისე დაამთავრეთ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, რომ მუშაობაში ხელი არ შეგშლიათ. კომკავშირის კასპის რაიკომის მეორე მდივნად დაგაწინაურეს, ახლა ხუთი წელი პირველი მდივნის პასუხსაგებ და საპატიო მოვალეობას ასრულებთ. თანაც მეორე ფაკულტეტს ამთავრებთ, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტმა გაგიტაცათ. ენერგია უშრეტი გაქვთ. 11 წელია პარტიის რიგებში იმყოფებით. ბევრს მუშაობთ ცოდნის გასაღრმავებლად და ამით კიდევ უფრო გიადვილდებათ რაიონის ახალგაზრდობის წინამძღოლობა. თქვენი მეთაურობით მათ ბევრი რამის გაკეთება შეძლეს.

რას ქმნიან დღეს კასპელი ახალგაზრდები, როგორ აისახება მათი საქმიანობა დღევანდელი დიდი ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში?

პ ა ს უ ხ ი: — ახალგაზრდობა წინმავალი რაზმია. მას სიახლეების ძებნა უყვარს, რომანტიკაც იტაცებს და უშიშრად და საიმედოდ აშენებს იმ საზოგადოებას, რომელშიც თვითონ უნდა იცხოვროს. მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა თითქმის ახალგაზრდულად შეიძლება ჩაითვალოს, უმეტესად, მათ ჩაუყარეს საფუძველი და მათ აამოქმედეს მისი პირველი რიგი, რომელშიც 400 ახალგაზრდა იმუშავებს. დიდია ახალგაზრდობის წვლილი ცემენტ-შიფერის ქარხნის რეკონსტრუქციაში, ქარხანა „ელექტროაპარატის" ძალზე საჭირო და მაღალხარისხოვან მოწყობილობათა დამზადებაში, მანვე უნდა ზიდოს 600-ადგილიანი დარბაზის მშენებლობის სიმძიმე, რომელიც ახალგაზრდობის ცენტრად მოინათლება; მან უნდა მოაწყოს სპორტული კომპლექსი, მან უნდა ჩაყაროს პირველი ნერგები ახალგაზრდობის პარკში.

რაიონის ახალგაზრდობა მიგრაციას არ არის აყოლილი. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა შრომით შედეგებში ჩვენი კომკავშირელი ჭაბუკები და ქალიშვილები ვალმოხდილნი არიან.

ოთხი წლის განმავლობაში მათ მეცხოველეობაში 60000 ტონა საკვები დაამზადეს, 32800 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს, 420 ტონა ხორცი, 12000 ტონა შაქრის ჭარხალი, 1500 ტონა ყურძენი, 13700 ტონა ბოსტნეული, 20000 ტონა ხილი მათი დიდი შრომის შედეგად მიიღო ქვეყანამ.

სოფლის ახალგაზრდობა მხნე, იმედიანი და მომავლის შემყურეა, ასე რომ შრომობს და იღვწის, მაინც ბევრი რამ აკლიათ, ყველგან არ არის კლუბები, თავშესაყარი, გასართობი ადგილები, მაგრამ უკეთესის მოლოდინში სოფელზე გულს როდი იცრუებენ, მას ალონიერებენ, ოჯახდებიან და მრავლდებიან.

კ ი თ ხ ვ ა: — სასიხარულოა, რომ კასპის რაიონში წლეულს არასრულწლოვან ახალგაზრდებს არცერთი დანაშაული არ ჩაუდენიათ, მაგრამ ეს მარტო წლეულს კი არ არის ასე, შარშანაც ასე იყო, წინა წლებშიც. მაშასადამე, თქვენი ჭაბუკები და ქალიშვილები ცხოვრების სწორ გზაზე დგანან, კარგად ესმით თავიანთი დანიშნულება და წარმატებული სწავლითა და გარჯით გამოირჩევიან. საინტერესოა, როგორ იყენებენ ისინი თავისუფალ დროს, რით არიან დაკავებული სწავლისა და შრომის შემდეგ.

პ ა ს უ ხ ი: — რაიონში 10 ათასი ახალგაზრდაა. სწავლისა და შრომის შემდეგ ისინი გონივრულად იყენებენ დროს, იმაღლებენ ცოდნის, კულტურის დონეს, კაჟდებიან ფიზიკურად, სულ უფრო მეტად ეტანებიან სპორტს.

კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის კულტურის სახლში 12 სხვადასხვა წრეა, სადაც სერიოზული და ნაყოფიერი მეცადინეობები ტარდება. სოფლის სკოლებთან და საბჭოებთან ბიბლიოთეკებთა გახსნილი და კითხვის მოყვარული ახალგაზრდობა თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება მხატვრული თუ სპეციალური ლიტერატურის კითხვაში.

ავილოთ მაგ[illegible]
[illegible]
აქვს. [illegible]

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწველავი ლუიზა წიკლაური



„ელექტროაპარატის" ოსტატი ე. გოგიაშვილი და მისი მეუღლე ბრიგადირი შ. ალექსიძე



მასწავლებელი ნინო რევაზიშვილი

ხულობენ აქაური მოსწავლეები. ამას წინათ შემთხვევით მეცხრეკლასელი გოგონას წაკითხული წიგნები მოგვხვდა თვალში: რუსული ლიტერატურის კლასიკოსები — ლევ ტოლსტოი, ანტონ ჩეხოვი, მაქსიმ გორკი, ალექსანდრე ბლოკი... გოგონას ეტყობა შეყვარებია და სულმოუთქმელად წაუკითხავს მათი ნაწარმოებები, დროზე ადრე ჩაუბარებია წიგნები... ქართული მწერლობის დიდი სიყვარული იგრძნობა თითქმის ყველა მოსწავლის კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიების გაცნობისას... ალბათ წიგნის ესოდენი „გაღმერთებაა", მათ რომ იფარავს დანაშაულისაგან.

ერთაწმინდის ეკლესიაში გიორგი სააკაძის ვაჟის პაატას თავია დამარხული. მოსწავლე ახალგაზრდობამ თანატოლის დღე — პაატაობა დააწესა მაისში. უნდა ნახოთ, როგორ ემზადებიან ამ დღესასწაულისათვის, როგორ ცდილობენ, რომ კარგი წარმატებებით დაამთავრონ სასწავლო წელი და ამის შესახებ იმ ზეიმზე უპატაკონ პატრიოტ თანატოლს. ეს ათეისტური აღზრდის ერთ-ერთი ფაქტიც არის.

შრომითი დღესასწაულები ბევრია რაიონში, მათთვის მზადება და ჩატარება ხომ ყოველი ზეიმის მონაწილის შინაგანი ძალების მობილიზაციაა, მამულიშვილური ვალის შეგნებაა, საკუთარი სიწმინდისა და პატიოსნების კიდევ უფრო განმტკიცებაა. სააკაძეობა ნოსტეში, გურამიშვილობა— ლამისყანაში, ჯავახიშვილობა — ხოვლეში შრომისა და დასვენების კარგ ტრადიციად იქცა.

კ ი თ ხ ვ ა: — მთელ საქართველოში იცნობენ თქვენს ჩინებულ ახალგაზრდებს. კომკავშირელი ლელა მჭედლიძე თეძამის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ფერმის მომვლელია, რაიკომის ბიუროს წევრია, წლეულს კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში მუშაობს მევლუდ მაისურაძე. ისიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. გყავთ კომკავშირის პრემიის ლაურეატი დათო მანძულაშვილი, რომელიც სამთავისის კოლმეურნეობაში კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. მოწინავეებს და სახელოვნებს რა ჩამოთვლის!.. ბევრი მათგანი პასუხსაგებ თანამდებობაზე წინაურდება. საინტერესოა, როგორ ხდება შერჩევა და დაწინაურება?

პ ა ს უ ხ ი: — ჩვენგან წასულ ახალგაზრდებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სწავლითა და საზოგადოებრივი მუშაობით, ჩვენ სულმუდამ თვალყურს ვადევნებთ: როგორ სწავლობენ თუ მუშაობენ, რით არიან გატაცებული, როგორი ამხანაგები ჰყავთ, რა საზოგადოებრივი დატვირთვა აქვთ... როცა ისინი იმედს გვიმართლებენ , მათ კასპში დაბრუნებას ვთავაზობთ, მიწისა და კუთხის სიყვარულს ვულვიძებთ და ადგილობრივ კადრებს ახალი, პერსპექტიული მუშაკებით ვამდიდრებთ. ვახტანგ ტურაშვილმა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, მშენებელი ინჟინერია. ინსტიტუტში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექიმი ნინო გოგოლაძე



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლელა მჭედლიშვილი



„ელექტროაპარატის“ საამქროში

სწავლისას ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი იყო. წამოვიყვანეთ, კომკავშირის კასპის რაიკომის მდივნის პოსტი ჩავაბარეთ. ივარგა, თავი გამოიჩინა. ახლა პარტიის რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგეა.

ზურაბ ჯანანაშვილი თბილისის „ელექტრო აპარატში“ მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად. ჩვენებურია. თბილისში ისახელა თავი. დაბრუნდა რაიონში და ახლა კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანია.

თბილისის იზოტოპების კვლევითს ინსტიტუტში კასპელ ვაჟა ხუციშვილს ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი. დღეს ის კასპის „ელექტროაპარატის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანია.

თბილისელი პაატა ჩხენკელი კასპის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე ინჟინრად მუშაობდა, იყო კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე. ოთხი წელი იმუშავა, თავი გამოიჩინა და პროფსასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის პოსტი მივანდეთ.

თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტს ამთავრებს კასპის პირველი საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი გიული კალატოზიშვილი. ძალიან პერსპექტიული ქალიშვილია. როგორც გამონაკლისი, ჩვენი რაიკომის წევრია. მისი დაკარგვა არ გვინდა. ალბათ ჩვენთან დაბრუნდება...

ემზარ თათარაშვილი ქვემო გომის სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდვანი იყო. ამჟამად თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში სწავლობს, კასპს არც ის მიატოვებს...

ჩვენგან წასულებთან განუწყვეტელი კავშირი, მათი ყოველი მოქმედების და ნაბიჯის შესწავლა, დაკვირვება და მათზე უტყუარი აზრის შემუშავება იმის საიმედო გარანტიაა, რომ ღირსეული კადრები, რომლებიც ასე სჭირდება რაიონს, მომავალშიც გვეყოლება.

მალე ორი წელი გახდება, რაც პარტიის კასპის რაიკომში პირველ მდივნად მუშაობს ჯონდო ჯავახიშვილი. განსაკუთრებულად უყვართ იგი კასპელ ახალგაზრდებს. ბევრ მის კარგ ჩანაფიქრს ენთუზიაზმით უჭერენ მხარს და მიჰყვებიან. წყლის პრობლემა, რომელიც მალე მოგვარდება კასპში და აქაური კაცის დიდი ხნის ოცნებას აასრულებს, რაიკომის პირველი მდივნის მონდომებითა და შეუპოვრობით წყდება. ამ სამუშაოებში კასპელი ახალგაზრდობა წარმატებით იღვწის. საითკენაც კი მოუხმობს მათ ჯონდო ჯავახიშვილი, წამსვე გაჰყვებიან.

კ ი თ ხ ვ ა: — რაშია ამ დიდი სიყვარულის საიდუმლოება და როგორ ხელმძღვანელობას გრძნობთ თქვენ, კომკავშირი პარტიის რაიკომისაგან?

პ ა ს უ ხ ი: — პატივცემული ჯონდო, უპირველეს ყოვლისა, საუკეთესო მამის შვილია. ლევან ჯავახიშვილი ჩვენი რაიონის ღირსეული და დაფასებული პარტიული ხელმძღვანელი იყო. ჩანს, შვილი მამის ტრადიციას აგრძელებს. არ შეიძლება მოეწყოს ახალგაზრდობის შეკრება, ან რაიმე ღონისძიება განხორციელდეს კომკავშირელთა თაოსნობით, რომ პატივცემულმა ჯონდომ არ გამონახოს დრო, არ მოვიდეს, არ მოგვისმინოს, სიტყვა არ გვითხრას, ჩვენი ნამოქმედარი არ შეაფასოს.

ზოგჯერ პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა მოულოდნელი, საქმიანი სტუმრობაც იცის. სკოლის კომკავშირელთა კრებას დაესწრება, სოფელში ჩავა და კოლმეურნეობის კომკავშირის კრებას მოუსმენს, საქმიან რჩევა-დარიგებებს მისცემს, სამოქმედო გეზს უჩვენებს. ყველა კოლმეურნეობის ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელს კარგად იცნობს, ყველა სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის სახელი და გვარი იცის, ყველა კასპელ ახალგაზრდას ესალმება, მათი უფროსი მეგობარი, მრჩეველი და ხელმძღვანელია.

ასეთი ჭეშმარიტი, ნათელი პიროვნება ჩვენ, კომკავშირელ ხელმძღვანელებს მუშაობას გვაყვარებს და აღგვაფრთოვანებს, ხალისსა და ენერგიას გვმატებს, შრომის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს. ამიტომაც არის, რომ რაიონში ჯანსაღი, საქმიანი განწყობილებაა. აქ ყველა, დიდი თუ პატარა, მე-11 ხუთწლედის დამამთავრებელი წლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის იღვწის, თავდადებული შრომით თუ სწავლით ცდილობს ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXVII ყრილობას. ამასთან, წლევანდელი წელიწადი ხომ ახალგაზრდობის წლად არის გამოცხადებული. 30 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა; ივლისში კი მოსკოვში მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი ტარდება. ასე რომ, სიტყვა ახალგაზრდებს ეკუთვნით!

საუბარს უძღვებოდა ლია კაკაბაძე

# ორი პორტრეტი



ლენა თარაევა

## მისი საყვარელი საქმე

მუდამ, როცა კი შეხვდებით ლენა თარაევას ღიმილი აქვს სახეზე. ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორმა მერი კასრაძემ მის შესახებ გვიამბო:

— განა ლენას არასოდეს ჰქონია ტკივილიანი დღე? მაგრამ საოცარი სწორედ ეს არის — არავის ახსოვს, რომ იგი მოღუშული სახით შეხვედროდეს ვისმე. ფაბრიკაში მაშინ მოვიდა, როცა საქსოვი მანქანების მონტაჟი დავიწყეთ. ყველა ოპერაციაში მონაწილეობდა. დილიდან საღამომდე დასვრილი ხელებით დადიოდა. პირველი მანქანის ამოქმედებისთანავე მოწაფეები გაუჩნდა. ერთდროულად რამდენიმეს ასწავლიდა პროფესიას. მაშინ სამოცზე მეტი მქსოველი მოამზადა, თავად კი ექვს დაზგას ემსახურებოდა. ერთხელ ერთ-ერთმა მქსოველმა მთელი თვე იავადმყოფა. მისი საქსოვი დაზგები ლენას დაზგების გვერდით იყო. ორი დღე კი უმზირა ლენამ დადუმებულ მანქანებს და, — მერე ველარ მოითმინა, აამუშავა, მთელი თვე ათ დაზგას მართავდა.

26 წელი პროფესიის სიყვარულისთვის ცოტა არ არის. როცა ლენას დაზგებს უხსენებთ, თვალებში ჯერ სიხარული აუციაფდება, მერე კი სევდა გაუჩნდება. იცით რატომ? იმიტომ, რომ ლენა ამჟამად მზა პროდუქციის კონტროლიორად მუშაობს დროებით, ექიმებმა აუკრძალეს დაზგებთან ტრიალი. არა, როგორც კი ექიმი ნებას დამრთავს, უმალ საქსოვ დაზგებს დავუბრუნდები, რატომ მიყვარს ისინი ასე ძალიან, თვითონაც არ ვიციო, — ამბობს ხოლმე გულწრფელად.

ამ სიყვარულს კი მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა ცხინვალის რაიონის სოფელ ხეთაგუროვში გაზრდილი გოგონა ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექციამ თბილისის 23-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში გაგზავნა. ლენამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში შვიდი თვე დაჰყო და როცა ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში საქსოვი დაზგების მონტაჟი დაიწყეს, თავის კუთხეს დაუბრუნდა. მონაწილეობდა დაზგების დამონტაჟებაში, კვალიფიციური კადრების მომზადებასა და კოლექტივის საერთო საქმიანობაში.

— ლენა ჩემზე ოთხი წლით უმცროსია, მაგრამ ჩემი დამრიგებელი იყო — ქსოვა მასწავლა. მაშინ ერთდროულად რამდენიმე მოწაფეს ამზადებდა, იღლებოდა, მაგრამ ცდილობდა არ შეგვემჩნია. ერთ-ერთი რთული ოპერაცია გაწყვეტილი ძაფით გაუხარისხოებული ქსოვილის გადაბმაა. თვითონვე ჭრიდა ქსოვილს, რათა მერე ეჩვენებინა, როგორ უნდა გადაგვება. და ახლა, როცა მისგან მიღებული ცოდნა საშუალებას გვაძლევს შეუფერხებლად ვამუშაოთ მანქანები და ოსტატებთან არ ვირბინოთ ქსოვილის გადაბმისა თუ სხვა შეფერხების გასწორებისათვის, უზომო კმაყოფილებას განვიცდით, სიამაყით ვეხმარებით სხვებს, რომელთაც ჩვენნაირი დამრიგებელი არა ჰყავთ. — გვითხრა მქსოველმა ანა ბაზაევამ.

აი ასე შეელოდა ადამიანებს ლენას კაიქალობა. ფაბრიკის კადრების განყოფილებაში კი გაოცებისაგან ხელებს შლიდნენ: — რა ვქნათ, ყველას ლენა თარაევასთან უნდა მომზადებაო. ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდა ქალი სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი დიდი საწარმოს კვალიფიციური მუშა და სამაგალითო დამრიგებელი იყო.

წლეულს ლენა მეორედ აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ის ფაბრიკის პარტბიუროს და სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრია, საწარმოს ხელმძღვანელობისაგან საპატიო სიგელები და მადლობები აქვს მიღებული. მისი მეუღლე იური ქოქოევი ამავე საწარმოს იურისკონსულტია, ჰყავთ თერთმეტი წლის ვაჟი.

დღეს ლენა ტრიკოტაჟის ნაწარმს უწევს კონტროლს. ამ საქმის მიჩვევა ძალიან უჭირს, რადგან გული საქსოვი საამქროსაკენ ეწევა. როცა თვალს ავლებს შეჩვეულ დაზგებს, უმალ უკან ბრუნდება. მაგრამ იმედს როდი ჰკარგავს, — შეიძლება თვეები დასჭირდეს გამოჯანმრთელებას, მაინც დაუბრუნდება თავის დაზგებს.

## კერავს პატარების გასახარად

ოცი წლის წინათ, როცა ტატიანა ქარქუსოვამ ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობა დაიწყო, ეს საწარმო სამიოდე წლის ამოქმედებული იყო და წელიწადში 3-4 მილიონი მანეთის ნაწარმს უშვებდა.

— მაშინ საწარმოში 300-მდე ადამიანი მუშაობდა. ახლა კი 1 300 მუშა და ინჟინერტექნიკოსი შრომობს. დაინერგა სრულიად ახალი ტიპის მაღალმწარმოებლური სამამულო და უცხოური მანქანები, აშენდა საბავშვო ბაღი, ორი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. პირველ წლებში ფაბრიკა 3-4 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებდა, 1984 წელს კი მზა ნაწარმის ღირებულებამ 18.514 ათას მანეთს მიაღწია, — ასე გაცნობთ ფაბრიკის ისტორიას მკერავი მოტორისტი ტატიანა ქარქუსოვა.

მისი ბრიგადირი მარიამ ბუზალაძე კი უმატებს, რომ ვიდრე ტატიანა ქარქუსოვა ფაბრიკაში სამუშაოდ მოვიდოდა, ატელიეს მკერავი იყო. სამკერვალო ფაბრიკაში უმაღლესი კვალიფიკაციის მკერავად ჩამოყალიბდა, რომელსაც რომელიც გნებავთ ოპერაციის შესრულება, რომელიც გნებავთ ტიპის მანქანის მომსახურება შეუძლია.

მეოთხე სამკერვალო საამქრო, სადაც ტატიანა ქარქუსოვა მუშაობს, ფაბრიკისაგან მოშორებით მდებარეობს და იქ მხოლოდ ბავშვის ტანსაცმელს კერავენ. ტატიანა სიყვარულით ატრიალებს ხელში ნაირფრად მოჩითულ კოჭწია კაბებს, ხალათებს თუ წინსაფრებს. აბა როგორ შეუძლია პაწია ხალათს უმნოდ დააკეროს ჯიბე, ან კაბას უხარისხოდ მოაკეროს საყელო. კერავს ბავშვების გასახარად და თვითონვე ტკბება, როცა ნაკერი სწორია და თანაბარი. მან, როგორც საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრმა, კარგად იცის ყოველი მკერავის საქმიანობა, მხედველობიდან არ ეპარება არცერთი უზუსტობა, დაუდევრობა და მიფუჩეჩება. ის მარტო შენიშვნებს კი არ იძლევა, საქმითაც იძლევა მაგალითს, როგორ უნდა შესრულდეს ოპერაცია. კმაყოფილებას გვრის ფაბრიკაში დანერგილი ყოველი სიახლე — შრომის პროგრესული ფორმა თუ ახალი ტექნიკა.



ტატიანა ქარქუსოვა

ლ. ბუხოვის ფოტოები

დიდი სიხარული განიცადა ტატიანამ, როცა იაპონური მანქანები მოიტანეს, რომლებიც ერთდროულად სამ ოპერაციას ასრულებს — ნაოჭსაც ასხამს, გვირისტსაც აკეთებს და უხვევს კიდეც. ეს ოპერაციები წინათ სხვადასხვა მანქანაზე სრულდებოდა და სამი მუშის შრომას მოითხოვდა. ახლა ერთი მუშა სწვდება ყველაფერს.

ერთხელ ტატიანამ თავის პატარა გოგონას ცხინვალის უნივერმაღში თავისი შეკერილი ლამაზი კაბები აჩვენა. რა იცოდა მაშინ დედამ, რომ შვილიც მის პროფესიას აირჩევდა! ზაირამ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ატელიეში დაიწყო მუშაობა, შემდეგ რიგაში ერთწლიანი კურსები დაამთავრა და ეხლა ერთ-ერთი ატელიის საუკეთესო გამომჭრელი და მკერავია.

ტატიანა ქარქუსოვა კი კვლავ ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის დღეებით ცხოვრობს. წლევანდელი წელიწადი, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის, მისთვისაც განსაკუთრებულია — მეთერთმეტე ხუთწლედი მთავრდება და მკერავმა ვადამდე უნდა უპატაკოს სამშობლოს პირადი ხუთწლიანი გეგმის შესრულება, სასახელო მაჩვენებლებით უნდა შეეგებოს სკკპ XXVII ყრილობას. 1985 წელს ფაბრიკა 18.870 ათასი მანეთის სამკერვალო ნაწარმს გამოუშვებს, რომელიც 100-ზე მეტი მისამართით გაიგზავნება, ვეტერანი მკერავი კმაყოფილია, რომ მისი კოლექტივი ყოველ წელს ახალ მიჯნებს იპყრობს და ფეიქართა დიდ არმიაში მოწინავეთა რიგებში დგას.

— ტატიანა მარტო პირადი წარმატებებით არასოდეს ყოფილა დაინტერესებული, მას ყოველთვის აღელვებდა და აღელვებს ბრიგადის თითოეული წევრის შრომისა თუ პირადი ცხოვრების საკითხები, განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდება ახალგაზრდებს, უნერგავს მათ პროფესიის სიყვარულს. მართლაც სამაგალითოა მკერავთა შორის. —თქვა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა სოსო ხუგაშვილმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშანი თავისთავად ამდიდრებს ტატიანას მუშურ ბიოგრაფიას.

ნელი ჩალაური

---

## წაუკითხეთ პატარებს



ალექსანდრე დიდებაშვილი

### მთის სოფელში

მეზობლად შემოგვემატა
ორი ოჯახი ბარიდან,
ამოიყვანეს ბავშვები,
ოთხი ძმაკაცი, სამი — და...

პირველ დღეებში ფეხშიშველი
თამაში სურდათ ბარელებს, —
მთაში ხტადიონს რა უნდა,
აქ ტყეა, კლდეა და ღელე...

მაგრამ ხულ სხვაა მთას ყოფნა,
მზესთან ახლოს ვართ, აქ გვიჯობს,
ვეფხვის ბოკვრებად ვიზრდებით,
კლდეზე ციცვაში ვვარჯიშობთ!

### დილა

მზე შემოდგა სერზე,
გაუცინა ვარდებს, —
უფრო მეტად ვარდებს
რაღა გაუხარდეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 9 ივნისი მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა

„პერსპექტიული ამოცანებიდან წინა პლანზე დგება ისეთი საკითხები, როგორიც არის წარმოების მტკიცე გადაყვანა ინტენსიფიკაციის რელსებზე, მისი სტრუქტურის გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მთლიანად სამეურნეო მექანიზმისა და მართვის შემდგომი სრულყოფა. საჭიროა დაძაბული და ინიციატივიანი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი მუშაობა — დაწყებული მუშით და დამთავრებული მინისტრით“.

მ. ს. გორბაჩოვი.

# ხუთწლედი: პრობლემები, პერსპექტივები

ჩვენი სტუმარია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გიორგი გამცემლიძე, რომელსაც ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი

**კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: — ბატონო გიორგი! ბუნებრივია, ყველა წარმოების მუშაკი და, რა თქმა უნდა, მსუბუქი მრეწველობის მუშაკებიც, ხელმძღვანელებიც და რიგითი ადამიანებიც, გულდასმით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მასალებს, იმ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ახლახან გამართულ თათბირზე, აგრეთვე წარმოების მუშაკებთან, სპეციალისტებთან და მეცნიერებთან ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის შეხვედრის დროს გამოითქვა. მოთხოვნები თქვენი დარგის მიმართ, ჩანს კიდევ უფრო გაიზრდება, ამასთან გაფართოვდება წარმოების უფლებები, მეტი გასაქანი მიეცემა ინიციატივას. ცხადია, ეს ხელს შეუწყობს პარტიის 26-ე ყრილობის დირექტივების მთლიანად შესრულებასაც, რომლებიც დარგის სწრაფ განვითარებას ითვალისწინებს. როგორ მიმდინარეობს ეს მუშაობა?**

მ ი ნ ი ს ტ რ ი: — ამ უკანასკნელი ცამეტი წლის განმავლობაში რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობა მნიშვნელოვნად განვითარდა. ამოქმედდა არაერთი თანამედროვე საწარმო და ახალი ტექნიკით შეიარაღდა, ანდა გადაკეთდა ბევრი წარმოება. ამასთან, ამ პერიოდში მოხდა მეტად მნიშვნელოვანი წინსვლა — რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში შეიქმნა მსხვილ მოქმედ საწარმოთა ფილიალების დიდი ქსელი. ერთი სიტყვით, ჩვენი მსუბუქი ინდუსტრია ძირითადად გადავიდა მყარ ინდუსტრიულ რელსებზე.

ახლა, როცა ხუთწლედი დასასრულს უახლოვდება, მიზანშეწონილად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ თუ 1970 წელს ჩვენი სამინისტროს სისტემის საწარმოები 699 მილიონი მანეთის ნაწარმს უშვებდნენ, დღეს ერთ მილიარდ 893 მილიონ მანეთის ღირებულების პროდუქციას აწვდიან მომხმარებელს. ზრდა თვალსაჩინოა. მაგრამ ამასთან, დიდი ნაბიჯი გადაიდგა ხარისხის გაუმჯობესების გზაზეც. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებამ შესაძლებელი გახადა პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის დონის მკვეთრი ამაღლება. თუ 1972 წელს ხარისხის ნიშნით გამოდიოდა მხოლოდ 100 ათასი მანეთის პროდუქცია, ანუ 0,01 პროცენტი. შარშან ასეთი პროდუქცია 484 მილიონი მანეთისა დამზადდა. ეს კი მთელი პროდუქციის მოცულობის 26,9 პროცენტია, ბევრად მეტი, ვიდრე საშუალო-საკავშირო მაჩვენებელი. ამის შედეგია ისიც, რომ შარშან სოციალისტური ქვეყნების შეკვეთების თანახმად დამზადდა და გაიგზავნა 2,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს უკვე ჩვენი დარგის საწარმოთა მიერ გამოშვებული ნაწარმის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე მეტყველებს, რაც არ შეიძლება არ გვაიმედებდეს.

**კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი — თქვენი პასუხით კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მსუბუქ მრეწველობაში ბოლო ხანს მართლაც მოხდა ძვრები და ამის საბუთად ალბათ იმის უბრალო აღნიშვნაც კმარა, რომ დღეს თბილისისა თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქების მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში დამზადებული სხვადასხვა ნაწარმი ბევრ ჩვენს მოქალაქეს (ხაზს ვუსვამთ — მომთხოვნ) მომხმარებელს აცვია. ასეთი რამ ამ ათიოდე წლის წინათ იშვიათი მოვლენა იყო. ჩვენი მომხმარებლის შეხედულებათა ასეთი მკვეთრი ფსიქოლოგიური შემობრუნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცხადია შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაგრამ ახლა მთავარი ალბათ ის არის, რომ ეს პროცესი არ შენელდეს და უფრო განმტკიცდეს. აი, ამ მხრივ რა გაკეთდა თქვენს სისტემაში?**

მ ი ნ ი ს ტ რ ი: — უკვე ვთქვი, რომ ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ერთგვარი ძვრა მოხდა მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ნაკლიც ჯერჯერობით ძალიან ბევრია. ჩვენი მიზანიც სწორედ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და დადებითი მომენტების განმტკიცება და არა მიღწეულით თვითდაჯერება. ამიტომ ჩვენ არ ვმალავთ ამ ნაკლოვანებებს. ვიცით, მაგალითად, რომ მთელი რიგი ქვედარგებისა და საწარმოების პროდუქციის სა-





რისხი და ასორტიმენტი დღევანდელ მოთხოვნებს სულაც ვერ უპასუხებს. ჩვენ ვიცით, აგრეთვე, რომ მოდას ჩვენ უნდა ვუკარნახებდეთ მომხმარებელს და არა მომხმარებელი, რომ ნაწარმს ბევრი დეფექტი აქვს შესრულების მხრივ და ა. შ. ამიტომ გარკვეული რაოდენობით პროდუქცია ვერ საღდება და დღეს არცთუ მცირე რაოდენობით დაგროვდა საწარმოსა თუ სავაჭრო ბაზების საწყობებში. ესე იგი, მომხმარებელი მას სამართლიან პრეტენზიას უყენებს, არ მოსწონს იგი. ეს როგორც დარგის მესვეურმა უნდა ვაღიარო.

მაგრამ ბევრ საწარმოში მთელი კოლექტივის მონდომებამ, სამეურნეო ხელმძღვანელობის საქმისადმი უნარიანმა მიდგომამ განაპირობა პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის ძირეული გაუმჯობესება. ასე იყო მაგალითად, თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში", ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში და სხვაგანაც, სადაც ახალი სამეურნეო ხელმძღვანელების ენერგიული ზომებით, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებითა და მხარდაჭერით მთლიანად შეიცვალა ასორტიმენტი და მკვეთრად გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი. თუმცა, აქვე უნდა დავსძინო, ბევრი ისეთი საწარმოც გვაქვს, სადაც ვერავითარი მონდომება საქმეს ვერ შველის, თუ ისინი ახალი ტექნიკით არ შეიარაღდა, არ გაფართოვდა, არ განახლდა... ახლა ჩვენი მუშაობა ამ ორი მომენტის გათვალისწინებით მიმდინარეობს.

ამიტომაც ამ ხუთწლედში რამდენიმე ახალი ობიექტი ჩადგა მწყობრში და ჩატარდა ბევრი საწარმოს რეკონსტრუქცია. მწყობრშია ცხინვალის ტრიკოტაჟის თეთრეულის ფაბრიკა, საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკა, ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა; ამუშავდა საწარმოთა ფილიალები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. გრძელდება რამდენიმე მსხვილი საწარმოს მშენებლობა და მთავრდება რეკონსტრუქცია.

**კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: — თქვენ ზემოთ ახსენეთ ნაწარმი, რომელიც ზენორმატიული ნაშთის სახით დაგროვდა ბაზებში, საწყობებსა თუ თვით საწარმოებში. თქვენ ბრძანეთ, რომ ეს ის პროდუქციაა, რომელსაც ზურგი აქცია მომხმარებელმა. მომხმარებელს აინტერესებს, თუ კეთდება რაიმე იმისთვის, რომ ეს დიდძალი პროდუქცია მთლიანად მაინც არ იზარალოს ქვეყანამ. ალბათ მიმიხვდით, ვთქვათ, ვიფიქროთ მის ჩამოფასებაზე...**

მ ი ნ ი ს ტ რ ი: — დღეს ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროსათვის, არამედ კავშირის მასშტაბით ჩვენი სისტემისათვის. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ზენორმატიული ნაშთების წარმოქმნას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავაბრალებთ მარტო ნაწარმის ცუდ ხარისხს. ვიმეორებ, მართალია, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, მაგრამ ამის გარდა მათს წარმოქმნას რამდენიმე გარემოება განაპირობებს; კონიუქტურის მკვეთრი ცვლა, რიგ სახეობათა საცალო ფასები, ძალიან სწრაფი ცვლილებები ბაზარზე და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიო მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტაბით, შალის ქსოვილების ნაწარმზე, კერძოდ პალტოებზე, კოსტუმებზე, კაბებზე, მოთხოვნილების მკვეთრი შემცირება და ა. შ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღის წესრიგში დგას შალის ქსოვილებზე საცალო ფასების შემცირების საკითხის განხილვის აუცილებლობაც. ხოლო რაც შეეხება მთელი რიგი სახეობის პროდუქციის ერთ ნაწილს, რომელიც ჩაწოლილი იყო, როგორც მრეწველობაში, ისე ვაჭრობის სფეროში, მთავრობის გადაწყვეტილებით ჩამოფასდა და გაუკეთდება რეალიზაცია. მეორე ნაწილზე კი, როგორც გამონაკლისი, ნება დაგვერთო, რომ ფონდის გარეშე (უანგარიშოდ) გავყიდოთ.

**კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: — რაკი ფასებზე ჩამოვარდა სიტყვა, გვაინტერესებს თქვენი დარგის ურთიერთობა სავაჭრო ორგანიზაციებთან. რა დასამალავია და, ისინი პრეტენზიას გამოთქვამენ დარგის საწარმოთა მისამართით.**

მ ი ნ ი ს ტ რ ი: — როცა ასეთ კავშირზე ვლაპარაკობთ, პირველი და მთავარი, ალბათ, საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა, ამ საქმის სწორი პროგნოზირება და ცხადია, მისი პრაქტიკული განხორციელებაა...

მინდა დაბეჯითებით ვთქვა, რომ ჩვენი კავშირი სავაჭრო ორგანიზაციებთან ამ ბოლო ხანს უთუოდ გაუმჯობესდა. იგი უფრო საქმიანი, მიზნობრივი გახდა. ახლა სავაჭრო ორგანიზაციები მონაწილეობენ ჩვენი სამინისტროს სამხატვრო საბჭოების მუშაობაში, ხშირია ერთობლივი კოლეგიის სხდომებიც. და, რაც ყველაზე საყურადღებოა, სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად ადგილებზე ვიხილავთ ცალკეულ მსხვილ საწარმოთა გაერთიანებებსა და ფაბრიკებში სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების მდგომარეობას. იმედი გაამართლა ჩვენმა ერთობლივმა ღონისძიებამაც — გამოფენა-გაყიდვის მოწყობის პრაქტიკამ. ერთი სიტყვით, კონტაქტები უმჯობესდება. ამაში დიდად არიან დაინტერესებული ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობის ხელმძღვანელები.

**კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: — ჩვენ ვიცით რომ მსუბუქი მრეწველობის გეგმის ფორმირება ძირითადად დგება ბაზრობების დროს, ესე იგი, როდესაც მიმდინარეობს ეგრეთწოდებული ნაწარმის გაწერა-გაყიდვა სავაჭრო ორგანიზაციებზე. ჩვენ, და ალბათ არა მარტო ჩვენ, მიგვაჩნია, რომ ეს ფორმა უკვე ველარ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს. საინტერესოა თქვენი აზრი.**

მ ი ნ ი ს ტ რ ი: —თუ გულახდილი ვიქნებით, უნდა ვთქვათ, რომ იგი მართლაც ფორმალურ ხასიათს ატარებს. საბაზრო კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიც შედის საკავშირო ვაჭრობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების ხელმძღვანელობა, არა აქვს უფლება სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნით ასორტიმენტის შეცვლისას გადაწყვიტოს შესაბამისი უთუოდ საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის, გამოყოფის საკით- [illegible] დლეული არა გაქვს, ცხადია, იდეას ხორცს ეთ საკითხს ვერ წყვეტს, ესე იგი მას მარეგულირებელი როლის შესრულებაც არ ძალუძს. ამრიგად, ეს ფორმალურობა რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, თავისთავად დევს ამ ფორმის საფუძველში...

ვფიქრობ, სავსებით სწორად დააყენა საკითხი ახლახანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვთან წარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მეცნიერთა შეხვედრისას მოსკოვის სამკერვალო ფაბრიკა „კოსმოსის" დირექტორმა ამხანაგმა ბუდაევამ. კერძოდ, იგი შეეხო მეტად მნიშვნელოვან საკითხს გრძელვადიანი გეგმების სიმკაცრეს, რომლებსაც მან მუხრუჭი უწოდა. მე ვთქვი, რომ კონიუქტურის სწრაფი ცვლა ახლა მთავარია. დღეს თუ ტრიკოტაჟის ნაწარმია საჭირო, აგერ ხვალ უკვე მას არავინ ყიდულობს, რადგან უცებ მოდაში შემოვა, ვთქვათ, ბამბის ნაწარმი. არადა, ორივეზე ერთნაირი შრომითი დანახარჯი უნდა გავწიოთ, ღირებულებაში კი განსხვავება ძალიან დიდია.

ამიტომაც არის, რომ იძულებული ვართ ღირებულებითი მაჩვენებლების შესრულებისათვის ძალისხმევა გავზარდოთ, რადგან მასზეა დამოკიდებული კოლექტივის მატერიალური კეთილდღეობა. სწორედ ამის შედეგია, რომ საწარმოები კვლავ განაგრძობენ ისეთი ნაწარმის გამოშვებას, რომელიც უკვე მოდიდან გასულია და მყიდველიც არა ჰყავს. მაგრამ სამაგიეროდ ძვირადღირებულია. ამხანაგმა ბუდაევამ ასეთ მუშაობას „საწყობისათვის მუშაობა" უწოდა.

ცხადია, ძალიან გვაიმედებს ის გარემოება, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებს შესაძლოა მიენიჭოს მეტი უფლებები საწარმოო ტაქტიკისა და სტრატეგიის არჩევაში, რომ მათი ორიენტირი ამ საქმეში მყიდველის მოთხოვნა გახდეს.

**კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: — მომხმარებელი ალბათ ელოდება, რომ დღეს ჩვენ ფეხსაცმლის ხარისხზეც ვისაუბრებთ. მინდა გითხრათ, რომ როგორც რედაქციებში მოსული წერილები მოწმობს, მომხმარებელს ყველაზე დიდი პრეტენზია ამ პროდუქციის მიმართ აქვს...**

მ ი ნ ი ს ტ რ ი: — მართალია. ფეხსაცმლის წარმოება ჩვენს ყველაზე ჩამორჩენილ უბნად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ყველაფერი კეთდება ამ დარგის მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის. თანმიმდევრულად ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკის ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. უკვე 1988 წლამდე პერიოდში მოხდება ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადახალისება. მთელი რიგი საწარმოების ნაკადური ხაზების განახლებამ უთუოდ მოგვცა სასურველი შედეგი. გავიხსენებ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის ფეხსაცმლის ფაბრიკების და თბილისის ფაბრიკა „ნარიყალას" ბევრ ნაწარმს, რომელიც მომხმარებელს უკვე მოსწონს. ეს ჩვენ გვაიმედებს.

**კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: — ჩვენ ვიცით წრე საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტა უშუალოდ თქვენზე — დარგის მუშაკებზე არ არის დამოკიდებული და სცილდება თქვენს კომპეტენციას. ასეთ ძირითად საკითხთაგან რომელს გამოყოფდით?**

მ ი ნ ი ს ტ რ ი: — პირდაპირ გეტყვით: პირველი და მთავარი მსუბუქი მრეწველობისათვის მანქანათმშენებლობის განვითარების დაბალი დონეა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი მანქანა-დანადგარი თავისი პარამეტრებით მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს... მეორეც — ჩვენ ძალიან ცოტას ვიღებთ სამღებრო გამომყვან დანადგარებს, საჩითავ მანქანებს კი საერთოდ არ უშვებს ჩვენი მრეწველობა... ახლა ავიღოთ მსუბუქი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხი. ანდა ვნახოთ ქიმიური მრეწველობა, რომელიც ჩვენი დარგისათვის ქიმიური ბოჭკოს ერთადერთი მომწოდებელია, პირდაპირ ვიტყვი, ეს დარგი ცუდ დღეში აყენებს მსუბუქ მრეწველობას.

რომ არ ვილაპარაკოთ მკვეთრ ნათელ ფერებზე, რაც დღეს მომხმარებელს მოსწონს... ჩვენ კი შავი ფერის საღებავსაც ვერ გვაწვდიან.

ანდა ავიღოთ აცეტატური ჯგუფის ქსოვილებზე შექმნილი მდგომარეობა, აქაც, ვაღიარებ, ეს ვაჭრობის უბრალო კაპრიზი კი არ არის, არამედ ამაში მაღალი ფასის ფაქტორთან ერთად ისიც თამაშობს როლს, რომ მომხმარებელს მობეზრდა ამ სახის ქსოვილები და ეს იმ დროს, როცა დღეს მსოფლიოში ხელოვნური ბოჭკოსაგან დამზადებული ქსოვილი სამომხმარებლო თვისებებით უკვე არ ჩამოუვარდება ნატურალურს.

და ბოლოს, ავიღოთ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი. სავაჭრო ორგანიზაციებს უფლება აქვთ დასვან საკითხი დადებული ხელშეკრულების ნაწილობრივი შეცვლის თაობაზე იმ მოტივით, რომ უკვე გაწერილი ზოგიერთი სახეობის საქონელზე აღარ არის მოსახლეობის მოთხოვნილება. ალბათ ეს სწორია, თუ ამას ნამდვილად მომხმარებელთა მოთხოვნა განაპირობებს. რა საშუალებები აქვს მრეწველობას ასეთ პირობებში? ნედლეულის გამოყოფა ხდება წლის დაწყებამდე ორი თვით ადრე — ოქტომბერ-ნოემბერში, რის შემდეგ დარგს ნედლეულის მანევრირების არავითარი საშუალება არ გააჩნია. ასე რომ, პირობები არც ისე სახარბიელოა.

მაგრამ ჩვენ გვაიმედებს ის, რომ მომხმარებელი დღეს უთუოდ გრძნობს მსუბუქი ინდუსტრიის ბეჯით წინსვლას პროგრესის გზაზე. ჩვენი ნაწარმი თანდათან იხვეჭს სახელს არა მარტო ჩვენთან, არამედ კავშირის მასშტაბით და ჩვენი საყოველთაო მცდელობით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უშუალო მხარდაჭერით, დახმარებითა და ყოველდღიური ყურადღებით ეს წინსვლა თანდათან სულ უფრო საგრძნობი იქნება.

# ინტერვიუ საკუთარ თავთან

ნონა მაღრაძე
თბილისის №1 საბავშვო სახლის დირექტორი



ნ. მაღრაძე აღსაზრდელებთან

— როდის მოვედი და 1981 წლის 28 ოქტომბერს, მანამდე კი თბილისის მე-19 საღამოს სკოლის დირექტორად ვმუშაობდი.

ჩემს სამუშაო კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილებიდან მირეკავდნენ. გამგისგან შევიტყვე, რომ პარტიის პირველი მაისის რაიკომს გადაუწყვეტია ჩემი გადაყვანა თბილისის № 1 საბავშვო სახლის დირექტორად. ჩემთვის ეს მეტად მოულოდნელი და ძალზე ამაღელვებელი შეიქნა.

— რატომ?

— მე ხომ ბავშვთა სახლის სპეციფიკას საერთოდ არ ვიცნობდი. ვიგრძენი, რომ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დამაყენა ჩვენმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა. ასეც მოხდა.

როდესაც მოვედი, და ბავშვთა სახლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას გავეცანი, ვიგრძენი, რომ ამ ბავშვების საკეთილდღეოდ პირველ რიგში, საჭირო იყო საკუთარი თავი ამეყვანა ხელში, რათა ეს დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მე გამიჩნდა, საბავშვო სახლის თითოეული თანამშრომლისათვის, ყველა ბავშვისათვის, ყველა იმ ხელმძღვანელი პირისათვის და საშეფო ორგანიზაციისათვის გადამეცა, რომლებიც მხარში ამომიდგებოდნენ და ბავშვთა სახლს სათანადო დახმარებას გაუწევდნენ.

— გამიმართლდა თუ არა იმედები?

— დიახ, გამიმართლდა: პირველი ნაბიჯებისთანავე ვიგრძენი განათლების სამინისტროს თბილი, მეგობრული დამოკიდებულება. განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. მანანა კობახიძემ და სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსმა ამხ. ჰ. თუთბერიძემ ნათლად ამისახეს ბავშვთა სახლის სპეციფიკა, ის ამოცანები და პრობლემები, რომლის წინაშეც აღმოვჩნდი. ხაზი გაუსვეს, თუ მე, როგორც პიროვნებას, რა სიმტკიცე უნდა გამომეჩინა, რომ რაიონულ პარტიულ და საშეფო ორგანიზაციებს გაეწიათ ის დახმარება, რომელიც აუცილებელი იყო საბავშვო სახლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

შემდეგ პარტიის პირველი მაისის რაიკომის მდივანთან ნ. ბალამწარაშვილთან მიმიწვიეს თათბირზე, სადაც ნათლად ვიგრძენი მტკიცე მხარდაჭერა. სკოლაზე შეფობა დაეკისრა რამდენიმე ორგანიზაციას.

— საშეფო ორგანიზაციებმა — სპორტნაგებობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. პაშიკოვმა, სასკოლო ინვენტარების ფაბრიკის დირექტორმა ს. ქარჩავამ, სიტყვა მისცეს ბავშვებს და არც ღალატობენ ამ სიტყვას.

ახალი სასწავლო წლის პირველი ზარი ჩვენმა ახალგაზრდებმა უკვე საკმაოდ კეთილმოწყობილ ნათელ და ფართო შენობაში იზეიმეს. თითოეული თანამშრომლის, თითოეული აღსაზრდელის თვალებში ამოვიკითხე, რომ მათ ნამდვილად სწორად აღიქვეს ის დიდი დახმარება და მზრუნველობა, რომელიც ჩვენ გაგვიწიეს და ვიგრძენი, რომ ამ დიდ ამაგს ისინი დააფასებდნენ.

— მაგრამ არის კი საკმარისი მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება ისეთ სისტემაში, როგორიც ბავშვთა სახლია?

— რა თქმა უნდა, არა! პირველ რიგში საჭირო იყო მჭიდრო კავშირის დამყარება იმ სკოლასთან, სადაც ჩვენი ბავშვები სწავლობენ. სამწუხაროდ, ბავშვთა სახლში დამხვდნენ ისეთი ბავშვები, რომლებიც ძნელად აღსაზრდელებად ითვლებოდნენ. მათთან საჭირო იყო განსაკუთრებული მიდგომა, მუშაობა. ბავშვს უნდა ეგრძნო მშობლიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სითბო და მზრუნველობა, ყველაფერი ეს საჭიროებდა ძალიან დიდ მუშაობას. უნებლიედ დამებადა კითხვა: — შესძლებს ჩემი პედკოლექტივი მხარში ამოდგომასა და ყველა ამ პრობლემის მაქსიმალურად გადაჭრას?

— რა თქმა უნდა, შესძლებს, რადგან ბავშვთა სახლს ჰყავს თავისი აღზრდილები — პედაგოგები ა. ქავილიანი, ბ. ბზუკაშვილი, ი. მარღიშვილი, რომლებმაც ყველაზე კარგად იციან ყადრი ამ თბილი კერისა, არ ზოგავენ ენერგიას, რომ გამოცდილება გაუზიარონ საბავშვო სახლის ახალგზედა აღმზრდელებს: ბ. რაზმაძეს, დ. შოშიტაშვილს, ე. ჯიშკარიანს; გამოცდილებას და მზრუნველობას არ აკლებენ ჩვენს აღსაზრდელებს საბავშვო სახლის ღვაწლმოსილი აღმზრდელები: მ. ფალავა, თ. დავითაშვილი, ნ. კობიძე. მე მჯეროდა და მჯერა მათი!

— რა მდგომარეობაა დღეისათვის?

— ბავშვთა სახლში არა გვყავს არც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე, არც ერთი ძნელად აღსაზრდელი.

ამა წლის პირველ პედსაბჭოზე მეტად ენერგიულმა და გამოცდილმა სასწავლო ნაწილის გამგემ ა. თხინვალელმა ძირითად საკითხად დააყენა ბრძოლა აღზრდის საუკეთესო ხარისხისათვის, რაც ბავშვთა სახლმა ამ წლის დევიზად გამოაცხადა.

— რა უნდა გამეკეთებინა იმისათვის, რომ ბავშვთა სახლის ბავშვების ცხოვრება უფრო შინაარსიანი და საინტერესო გამხდარიყო?

— აუცილებელი იყო ლამაზი ტრადიციების დამკვიდრება „დაბადების დღე“; „მასწავლებლის დღე“ და ყველა ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმოდ აღნიშვნა ბავშვთა სახლში.

როგორც ყოველთვის, ამ საინტერესო ღონისძიებების ჩატარებას სათავეში უდგას ბავშვთა სახლის პიონერული ორგანიზაცია, რო-



ბიბლიოთეკაში

დ. იაკობაშვილის ფოტოები

საძილე ოთახში



აღმზრდელი ი. მარღიშვილი ბავშვებთან



სკოლისაკენ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ხელმძღვანელობს პიონერხელმძღვანელი მ. გოგიაშვილი.

ბავშვებში შრომითი ჩვევების გამომუშავების მიზნით ჩამოყალიბებულია კულინარული წრე, ჭრა-კერვის წრე (ნ. ბურდული); ხის დამუშავების სახელოსნო (გ. ჯინჭარაძე); მუსიკის წრე (ბ. ლეჟავა); დრამწრე (ლ. ხიზანიშვილი).

გვაქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა (ნ. პატარაია). დიდი ყურადღება ექცევა სანიტარული ჰიგიენის საკითხს; დაუღალავად მუშაობენ ექიმი ჯანჯღავა, ექთნები: ქ. ბოსტოღანაშვილი და ქ. თითირაშვილი.

საჭირო იყო ყველა ამ უბნის ძირფესვიანად შესწავლა და მობილიზაცია, რომ მუშაობა წარმართულიყო ისე, როგორ პრინციპებზეც უნდა აიგოს ნამდვილი ბავშვთა სახლი.

წელს თბილისის № 1 საბავშვო სახლი რესპუბლიკაში მეორეჯერ იმარჯვებს და გარდამავალი დროშის მფლობელი ხდება, ამავე დროს ჯილდოვდება საკავშირო II ხარისხის დიპლომით.

— როგორია პერსპექტივები?

1. აუცილებელია ტიპიური ბავშვთა სახლი.

2. ჩვენს შეფებს უნდა მიეცეთ უფლება შეუძინონ ბავშვთა სახლს რბილი ინვენტარი.

3. ჩემი სურვილია ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ქალაქში, რესპუბლიკაში ჰყავდეთ ისეთი მეგობრები — ოჯახები, რომლებიც მათ მუდმივ მეურვეობას გაუწევენ; მინდა ნახონ ოჯახური გარემო, ტრადიციები, დარწმუნდნენ, რომ მათ ბავშვთა სახლში არაფერი აკლიათ და რომ ვცდილობთ შევუქმნათ კარგი პირობები და გული არ დავწყვიტოთ.

ბავშვთა სახლში ასეთი შემთხვევა გვქონდა:

სკოლის მასწავლებელმა, წაიყვანა სახლში რამდენჯერმე სტუმრად ჩვენი აღსაზრდელი, ექვსი წლის მარეხი. ვგრძნობდით, ბავშვს აინტერესებდა ოჯახური გარემო, რადგან მას მასწავლებელიც თანაუგრძნობდა, ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე, ბავშვი გამეშვა. მაგრამ აი, გაისმა ანონიმური ზარი, ჩაერია ზემდგომი ორგანოები... იძულებული გავხდი ბავშვი აღარ გამეტანებინა და მეგობრული კავშირიც გამეწყვიტა.

— რა გამოიწვია ამან?

— ბავშვი გაბოროტდა, უხეშობა დაიწყო. რა თქმა უნდა, თავად მიზეზს ვერ მიხვდა, ვერ გააანალიზა შექმნილი სიტუაცია, ვერ გაიგო რატომ მეუშალა დირექტორმა ხელი ასეთ კარგ მეგობრობას. საბოლოო შედეგი, უფრო სავალალო აღმოჩნდა: იძულებული გავხდი ბავშვი თბილისიდან კოჯრის ბავშვთა სახლში გადამეყვანა.

ჩემი და პედკოლექტივის აზრით, ასეთი მეგობრობისათვის ხელი არ უნდა შეგვეშალა, პირიქით!

იმ მწარე გაკვეთილის შემდეგ, ღრმად დავრწმუნდით, რომ ბავშვებს სჭირდებათ საბავშვო სახლის მიღმა,—ოჯახებშიც ჰყავდეთ მეგობრები!

### ხუთწლედი სამ წელიწადში შეასრულა

# იგი კვლავ მხნედაა



ჩაის ხავერდოვან პლანტაციებს მოუქარგავს სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გორაკები, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გვიმრა და ეკალ-ბარდები იყო. კოლმეურნეობის დაარსებიდან დაიწყო სოფლის აყვავება. გაშენდა ჩაის პლანტაციები. სწორედ ჩაი გახდა მშრომელთა შემოსავლის და კეთილდღეობის დაუშრეტელი წყარო. დუხჭირი ცხოვრება წარსულს ჩაბარდა. ვეღარსად ნახავთ მთის კორტოხზე წამოდგმულ, კვამლით გამურულ ფაცხას. აყვავდა სოფელი, დამშვენდა ლამაზად ნაგები, ბაღ ვენახებში ჩაფლული კაპიტალური სახლებით.

სოფელში დღესაც მხნედ არიან ადამიანები, რომლებიც საკოლმეურნეო მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ჯერ თითქმის ბავშვი იყო ტატიანა ტყებუჩავა, ჩაის კრეფა რომ დაიწყო. მალე გაითქვა სახელი კრეფის ოსტატმა. შემდეგ სახელგანთქმულ ჩინელ მეჩაიეს ჯან-ცი-ხესთს ეჯიბრებოდა. ცხაკაიის რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეობის ნოვატორი მეჩაიე ტატიანა ტყებუჩავა სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

მან პირველდაწყებითი განათლება თავისსავე სოფელში მიიღო. შემდეგ ცხაკაიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა. კოლმეურნეობაში შრომა რომ დაიწყო, ოჯახი შექმნა, შვილების შეძენით ბედნიერება იგრძნო.

ეს დიდი სიხარული ომმა წაართვა. მეუღლე, კოლმეურნეობის ბრიგადირი არხიპო ნაჭყებია, საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა.

ტატიანა არ დაბნეულა, პირიქით, მამაცურად შეხვდა გასაჭირს. მაშინვე მეუღლის მაგივრად ბრიგადის ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა. შემდეგ, როცა მარჯვე ჩაის მკრეფავები დასჭირდათ, ისევ მკრეფაობა იკისრა.

მეუღლე ომიდან ჭრილობებით დასუსტებული დაუბრუნდა ტატიანას და მალე გარდაიცვალა. ოჯახის მთელი სიმძიმე ისევ ქალს დააწვა. მან ოთხი სასახელო შვილი აღზარდა. ყველამ ისწავლა, ყველამ შეიყვარა შრომა. ზაირა დედის კვალს გაჰყვა, საშუალო სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. მისი მეუღლე ზანის გამსხვილებული კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანია და სოფლის კეთილდღეობისათვის იღვწის.

ტატიანას ქალიშვილებმა იზოლდამ და როზამ უმაღლესი განათლება მიიღეს. იზოლდა პედაგოგია, როზა — ეკონომისტი.

ერთი ვაჟი ჰყავს ტატიანას, რომელიც აგერ ოცი წელია კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადას უდგას სათავეში. ეს ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა კოლმეურნეობაში. მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წელს 307 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ჩააბარეს სახელმწიფოს, დაგეგმილი 250 ტონის ნაცვლად. ასევე წარმატებით გაანაღდეს სხვა სახის დავალებები.

— ტატიანა ჩვენთვის დედაც არის და მამაც, — ამბობენ შვილები, აღგვზარდა, განათლება მიგვაღებინა, შრომა შეგვაყვარა, კაპიტალური სახლი აგვიშენა და ძვირფასი ავეჯით მოგვირთო.

ტატიანას ოჯახი აქტიურად მონაწილეობს პარტიის მიერ შემუშავებული სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. შარშან სახელმწიფოს 250 კილოგრამი ხორცი, დიდძალი ხილი, ყურძენი, ყველი და კვერცხი მიჰყიდეს.

კეთილსინდისიერ შრომასთან ერთად მოწინავე მეჩაიე საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. დიდი ხანია პარტიის ცხაკაიის რაიკომის, კოლმეურნეობის გამგეობის და კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის უცვლელი წევრია.

ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობასთან დიდხანს არსებობდა ტატიანა ტყებუჩავას გამოცდილების დანერგვის სკოლა. ლექტორ-დამრიგებელმა თავისი მუშაობის მდიდარი გამოცდილება 150-ზე მეტ მეჩაიეს შეასწავლა.

რამდენიმე წელია ტატიანა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია, მაგრამ კვლავ კოლმეურნეობაში შრომობს და ყოველწლიურად 14-16 ტონა ჩაის კრეფს. პირადი ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადში გადაჭარბებით შეასრულა. მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წელს კი 15,8 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. წლეულს კვლავ 15 ტონის მოკრეფას აპირებს.

მის მკერდს ღირსეულად ამშვენებს ლენინის, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის დიდების მეორე და მესამე ხარისხის ორდენები.

ს. კუჭავა

# დაუვიწყარი სანახაობა

## საერთაშორისო ტურნირი ჩვენი ჟურნალის პრიზზე

ეს დაუვიწყარი სანახაობა იყო. მხატვრული ტანვარჯიშის მოყვარულებმა ორი მშვენიერი საღამო გაატარეს. 22 სპორტსმენი 6 ქვეყნიდან (საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი, რუმინეთი, კუბა, საფრანგეთი, პოლანდია) გვიჩვენებდა ნაირ-ნაირ ილეთებს, დიდ მოქნილობას, მომხიბლაობას, სინარნარეს. საერთაშორისო ტურნირმა ჩვენი ჟურნალის პრიზზე, რაზედაც დიდხანს ოცნებობდნენ ჩვენი ტანმოვარჯიშეები, დიდი წარმატებით ჩაიარა და, ეჭვგარეშეა, საპატიო ადგილსაც დაიკავებს წლის სპორტულ კალენდარში. დასაწყისი ყოველთვის ძნელია, თორემ შემდეგ...



ირმა ყიფშიძე
სსრ კავშირი, ქ. თბილისი



დოინა სტაიკულესკუ
რუმინეთი

22 ტანმოვარჯიშიდან ავტორიტეტულმა კომისიამ თავიდანვე 13 გამოჰყო, რომელთაც „საქართველოს ქალის" მთავარი პრიზისათვის უნდა ებრძოლათ. დანარჩენი 9 კონკურსგარეშე გამოდიოდა. რა სასურველი იქნებოდა, რომ ერთ მათგანს მაინც, საოცრად პოეტურ ირმა ყიფშიძეს სწორედ იმ დიდი ჯილდოსათვის ებრძოლა! მან ნამდვილად მოხიბლა მაყურებლები და საბოლოო ანგარიშით ყველაზე გრაციოზული მონაწილის ჯილდო დაიმსახურა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ კონკურსგარეშე მონაწილეთა შორის საქართველოს კიდევ 4 წარმომადგენელი იყო (იზოლდა მთავრიშვილი, ფიქრია ფანქველაშვილი, ელისო ბედოშვილი და ინგა ჩხაიძე.). ვფიქრობთ, თითოეული მათგანი ჩვენს გულშემატკივრებს არაერთგზის გაახარებს.

მთავარია, რა თქმა უნდა, მაინც დიდი პრიზისათვის ბრძოლა იყოს. ყოველ შეჯიბრებას წინ პროგნოზები უძღვის ხოლმე. როგორი იყო ისინი ამჟამად? თბილისის ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ გალინა ბელოგლაზოვა და დალია კუტკაიტე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დიდად გაიზარდა საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზობებში მათი მთავარი მეტოქის, ტაშკენტელ ვენერა ზარიპოვას შესაძლებლობები. არც 14 წლის მარინა ნიკოლაევას უგულვებელყოფა შეიძლებოდა. უკვე უკანასკნელმა საკავშირო პირველობამ გვიჩვენა, რომ ნიკოლაევა თვეობით კი არა ყოველდღიურად იზრდება, ცოტა ხანიც და, მხარში უნდა ამოუდგეს მხატვრული ტანვარჯიშის კორიფეებს. ნიკოლაევა, ზარიპოვასი არ იყოს, ტაშკენტელია, ერთი მასწავლებელი ჰყავთ — უზბეკეთის დამსახურებული მწვრთნელი ირინა ვინერი. ისე, რომ საერთაშორისო ასპარეზობაში გამარჯვების პრეტენდენტმა ზარიპოვამ ისიც არ უნდა დაივიწყოს — თავის ქალაქშიც პირველობის განმტკიცებაა საჭირო. უცხოელები? — ბულგარეთი მხატვრულ ტანვარჯიშში იგივეა, რაც, ვთქვათ, ბრაზილია ფეხბურთში ან საფრანგეთი — რეგბიში. თბილისში ბულგარელებმა ორი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე მოავლინეს — მარიელა ფაშალიევა და ალბენა სტრეზოვა. რომ ორივე კარგ შედეგს მიაღწევდა, წინასწარ ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ შეძლებდნენ კი მთავარი პრიზისათვის ბრძოლას? გამოცდილება სპორტში (და ყველგანაც) ძალიან ბევრს ნიშნავს, მას ვერაფერი ცვლის. ამ თვალსაზრისით მეტი იყო მოსალოდნელი რუმინელ დოინა სტაიკულესკუსაგან. რაც არ უნდა იყოს, წინასწარ ვიცოდით, რომ იგი თავისი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელია.



ფლორენტინა ბუტარუ
რუმინეთი

ის, ვინც მხატვრულ ტანვარჯიშზე დასასწრებლად მოდის, სარბიელს რომ ადევნებს თვალს და თან იმ სპორტსმენებსაც აქცევს ყურადღებას, რომლებიც იქვე, რამდენიმე მეტრის მოშორებით, „პროსცენიუმზე" გამოსასვლელად ემზადებიან, მათი ცქერაც ერთ რამედ ღირს. იგრძნობა ის მღელვარება, რომელიც ყოველი სპორტსმენის ხვედრი გახლავთ, მის გარეშე შეჯიბრება არც არსებობს. ეს, თუ გნებავთ ის მღელვარებაა, მიღწევებისაკენ რომ გიბიძგებს!

დასკვნითი საღამოს წინ ერთი რამ იპყრობდა ყურადღებას: აქამდე 22-მა ტანმოვარჯიშემ (ოთხი სახეობის შემდეგ) ერთნაირად რომ ვიანგარიშოთ, 88 ნიშანი შეფასება მიიღო. იყო საკმაოდ მაღალი შეფასებებიც და ან კი როგორ შეიძლებოდა სხვანაირად, როცა შეჯიბრებაში ესოდენ ჩინებული სპორტსმენები მონაწილეობენ. მაგრამ ამ 88 შეფასებას შორის მხოლოდ ერთი აღმოჩნდა უმაღლესი, ტანვარჯიშის ენაზე „ათიანი" რომ ეწოდება! ოჰ, როგორ ერიდებიან ამ ნიშანს საერთაშორისო თუ საკავშირო ასპარეზობების მსაჯები! ისინი პირდაპირ უნდა მოხიბლო, ექსტაზის მდგომარეობამდე მიიყვანო, სავარძლიდან წამოაყენო, ლამის ტაშიც დააკვრევინო (ამის შემდეგ მსაჯი რაღა მსაჯი იქნება!), რომ ასეთი შეფასება მოგცენ.



ვენერა ზარიპოვა
სსრ კავშირი, ქ. ტაშკენტი.



ევგენია შირინკინა
სსრ კავშირი, ქ. თბილისი.

პირველ საღამოს „ათიანი" მხოლოდ ვენერა ზარიპოვამ დაიმსახურა და ეს შეფასება შეიძლება ითქვას, სიმბოლური აღმოჩნდა.

დაიწყო მეორე საღამოს პროგრამა და ცხადი გახდა, რომ ვენერა ზარიპოვა ყველა, ოთხივე სახეობაში პირველი ადგილის პრეტენდენტი იქნებოდა. საოცარი სინატიფე, არტისტულობა, ნახტომი, დახვეწილი ტექნიკა, მუსიკალობა, გრაციოზულობა და კიდევ რა ვიცი, რა ვთქვათ! ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე იყო დიდი ოსტატი, რომლის გამოსვლები მაყურებლებს ნამდვილად აჯადოებდა.



ნინო ხუციშვილი
სსრ კავშირი, ქ. თბილისი.



ალბენა სტრეზოვა
ბულგარეთი.

არა, ყველა ჯილდოს მოპოვება 20 წლის ზარიპოვამ, რომელიც ტაშკენტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეხამე კურსის სტუდენტია, ვერ შეძლო და ეს გასაგებიც იყო. მაგრამ მას დარჩა „საქართველოს ქალის" მთავარი პრიზი და თბილისელების სიყვარულიც დაიმსახურა. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ უმაღლეს შეფასება „ათიანზე". მეორე დღეს ვენერამ კიდევ ორი ასეთი „10" დაიმსახურა. აქვე დავსძენთ, რომ არცერთი სხვა ტანმოვარჯიშისათვის მსაჯებს ასეთი შეფასება არ გაუმეტებიათ. ისინი როგორც ყოველთვის, უკიდურესად „ძუნწები" იყვნენ. ზარიპოვამ ერთპიროვნულად გაიმარჯვა შეჯიბრებაში სახტუნაოთი (20 ქულა) და ლენტით (19,95 ქულა), პირველ-მეორე-მესამე ადგილები გაიყო გურზებით შეჯიბრებაში დოინა სტაიკულესკუსა და მარინა ნიკოლაევასთან (19,55 ქულა თვითეულს) და მხოლოდ ბურთით შეჯიბრებაში იყო მეორე (აქ ნიკოლაევამ გაიმარჯვა 19,8 ქულით, ზარიპოვამ კი 19,75 ქულა მოაგროვა).

თბილისის საერთაშორისო ტურნირის თავისებურება ისიც იყო, რომ ზარიპოვას, ნიკოლაევასა და სტაიკულესკუს დავაში ფაქტიურად ვერავინ ჩაერია. მხოლოდ ერთხელ, სახტუნაოთი შეჯიბრებაში, 3.4 ადგილები გაიყო ბულგარელმა მარიელა ფაშალიევამ დანარჩენი ყველა საპრიზო ადგილი ფავორიტებმა გაინაწილეს. ნიკოლაევა ერთხელ პირველი იყო, ერთხელ პირველი-მეორე-მესამე ადგილები გაინაწილა, ერთხელ — მესამე, ერთხელ კი — მესამე-მეოთხე. თუ ამ ტანვარჯიშის ასაკს— გავითვალისწინებთ, შედეგები ნამდვილად ჩინებულია. თბილისიდან კმაყოფილი გაემგზავრა დოინა სტაიკულესკუც. მას ერთხელ პირველი-მეორე-მესამე ადგილები ხვდა წილად, ორ შემთხვევაში — მეორე, ერთხელ კი მესამე იყო. ეს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის მორიგი წარმატება გახლავთ.

როცა ასეთ საუკეთესო ტანმოვარჯიშეებს აცილებ, არ შეიძლება სევდის გრძნობა არ დაგეუფლოს. ასეთ „გრაციებს", რა თქმა უნდა, ყოველ საღამოს ვერ ნახავთ. მაგრამ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირები ყველგან და ყოველთვის ერთ კარგ საქმეს აკეთებენ. იქ, სადაც ისინი იმართება, მკვეთრად იზრდება მხატვრული ტანვარჯიშით დაინტერესება, სტიმული ეძლევათ გოგონებს, რომლებიც ამ რთულ ხელოვნებას ეუფლებიან. რა ვუყოთ, რომ ამჯერად ყველა ძირითად ჯილდოს სტუმრები დაეუფლნენ. ასეთი შეჯიბრებები ხომ კვლავაც ჩატარდება და მაშინ მოწვეულ ვარსკვლავებს ჩვენებიც მხარში ამოუდგებიან, თავიანთ სიტყვას იტყვიან ირმა ყიფშიძე, ევგენია შირინკინა, თინა ნადირაშვილი, იზოლდა მთავრიშვილი, ფიქრია ფანქველაშვილი, ელისო ბედოშვილი, ინგა ჩხაიძე და სხვები... იმ სამახსოვრო დღეებში ერთ-ერთ მათგანს — ირმა ყიფშიძეს სპეციალური პრიზი „მისს გრაციაც" კი გადაეცა, ხოლო მეორეს — თინა ნადირაშვილს, წამახალისებელი ჯილდო, როგორც ახალგაზრდა, იმედის მომცემ ტანმოვარჯიშეს.

გივი გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ აფხაზავა

# შემთხვევა გამოცდაზე

მხატვარი კარლო ფაჩულია

ახალგაზრდა დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ დუჩიძე წარბშეკრული და დაფიქრებული მიჰყვებოდა ვარაზისხევის აღმართს. დილა იყო. სკვერში შაშვი გალობდა.

„არა, ნამდვილად რაღაც ამბავია მაკას თავს, — აწამებდა ოთარს აბეზარი ფიქრი. — ამ ბოლო დროს წვრილმანი ამბებიც კი აღიზიანებს... გუშინწინ თალიკოს კუდრაჭა გოგონა კისერში რომ ჩავისვი, ფერი დაეკარგა, შეტრიალდა და იმ საღამოს ჩემთვის მზერა არ გაუმართავს..."

ოთარს მგზავრებით დახუნძლულმა ტროლეიბუსმა გაუსწრო. უაზრო მზერა მიადევნა უსწორმასწორო ქვაფენილზე დგრიალითა და ჩახაჩუხით მიმავალ მანქანას.

„კი მაგრამ, რამ შეცვალა ასე? — არ ეშვებოდა იგივე საფიქრალი. — სულ ჩახმახივით არის შემართული... არადა, აგერ მეათე წელია, ერთად ვართ, და ერთხელაც არ მისაყვედურებია, ჩვენი უშვილძირობა შენი ბრალია-მეთქი. გადაკვრითაც კი..."

ამ ფიქრებით მიაღწია ინსტიტუტს, რექტორატში დავალებას გაეცნო და თავის მეწყვილესთან, თბილისელ პედაგოგთან, ქალბატონ მელანიასთან ერთად (მკაცრი, შეუხედავი ქალი იყო და „რა გაძლებს ამასთან ხუთ თუ ექვს საათსო", — უსიამოდ გაიფიქრა ოთარმა) აუდიტორიაში შევიდა.

მერხებზე ქორდანაქროლი წიწილებივით გასუსულიყვნენ აბიტურიენტები. სულ გოგონები იყვნენ. ვიდრე მაგიდასთან მივიდოდა, მოასწრო თვალის გადავლება და მათი საცოდაობით გული შეეკუმშა. „რას იკლავთ თავს, თქვე კაი დედმამიშვილებო, — ჩაიბუზღუნა უხმოდ. — წადით, ჩაი კრიფეთ, წინდები ქსოვეთ, სახლები აშენეთ, ერი ამრავლეთ. სასარგებლო საქმესაც გააკეთებთ და ჯანიც შეგრჩებათ". ხმამაღლა კი:

— სალამი, ბავშვებო! — მიესალმა. — ეს რა ამბავია, თქვენში ერთი ბიჭიც რომ არ ჭაჭანებს? გაფიცვაა თუ მარტო ამორძალები შეიკრიბენით?

აბიტურიენტები შეიშმუშნენ.

„სალამი, ბავშვებოო", — რომ თქვა, სწორედ იმ წამს ოთარმა ფანჯარასთან, განაპირა მერხთან მჯდარ ქალიშვილს მოჰკრა თვალი. სხვებს ჰო, მაგრამ ამ ქალიშვილს კი „ბავშვი" არამც და არამც არ ეთქმოდა. საშუალო სკოლა, თუ მეტი არა, შვიდი-რვა წლის წინათ ექნებოდა დამთავრებული. სხვებთან შედარებით მშვიდი ჩანდა, მაგრამ სხვებისაგან მარტო ასაკითა და სიმშვიდით კი არ გამოიყოფოდა — რაღაც საოცარი შუქი ადგა სახეზე. შეიძლება ეს დიდრონი ზღვისფერი თვალების („ბნელში ნამდვილად მთვარესავით გაანათებს!"), ნაზი სახისკანის ან სადად გადავარცხნილი მბრწყინავი ქერა თმის წყალობა იყო. ასეა თუ ისე, ოთარს თავისთვის ძალის დატანება მოუხდა, რათა მისთვის მზერა მოეწყვიტა. მაგიდას მიუჯდა და ქალბატონ მელანიას გაუღიმა:

— შევუდგეთ, ქალბატონო მელანია, არა, საქმეს?

— დიახ, დიახ, დავიწყოთ, — სწრაფად მიუგო მან და საპასუხოდ შეჰღიმა.

ოთარს უცებ შეებრალა ეს შეუხედავი ქალი („რა ქნას, რა ამის ბრალია, ყველა იმასავით ლამაზი ხომ ვერ იქნება?"). ქალბატონ მელანიას კი არაფრით არ შეტყობია, რომ საკუთარი თავი შებრალებოდეს, უწყისი მიიჩოჩა და ოთხი აბიტურიენტი გამოიძახა:

— გამრეკელი ნათელა! ზედელაშვილი მანანა! კაიშაური ხათუნა! მაკალათია ცირა!..

„ნეტავი ნათელამ, მანანამ, ხათუნამ და ცირამ თუ იციან, რომ მათს მომხიბლავ გამომცდელს ასევე მომხიბლავი სახელი მელანია ჰქვია? — გუნებაში ჩაიცინა ოთარმა. — საინტერესოა, იმას რა ჰქვია? — წამით თვალი კიდურა მერხისკენ გააპარა. — არა მგონია, რაიმე ხელწამოსაკრავი სახელი ჰქონდეს. ან თამარი ერქმევა, ან მედეა... შეიძლება ნანა ან შორენა... გათხოვილი თუა ნეტავ?.. მგონი კი უნდა იყოს... მაინც რა თვალები აქვს ამ დალოცვილს, რა უცნაური შუქი ადგას სახეზე!."

როცა გამოძახებულთაგან მეოთხემ, ცირა მაკალათიამ, ბილეთი აიღო და მოსაფიქრებელ მერხს მიუჯდა, მისი ლამაზი, სადა ვარცხნილობით შემკული თავი მთლიანად ჩამოეფარა ზღვისფერთვალებას. ოთარი ერთხანს სანდომიანი კოლხი გოგონას ნახევარპროფილით ტკბებოდა, მერე კი კოლეგას მიუბრუნდა.

ჩანს, ქალბატონი მელანია სწორედ მის შემობრუნებას ელოდა.

— თქვენ რომელ კათედრაზე მოღვაწეობთ, ბატონო ოთარ?

ოთარს სასტიკად ეჯავრებოდა კითხვა „სად მოღვაწეობთ", ამ შეკითხვაში ყოველთვის დაცინვა ესმოდა, რადგან მოღვაწეობა გაცილებით მნიშვნელოვან საქმიანობად მიაჩნდა იმასთან შედარებით, რასაც მისი ყოველდღიური ცხოვრება ერქვა.

— მე ქართული ენის კათედრაზე ვმუშაობ, ქალბატონო მელანია. — „მელანია" რომ თქვა, ოთარმა მახვილი შუათანა „ა"-ს დაუსვა. — თქვენა? თქვენ თავად სად მოღვაწეობთ?

— ას მეოთხმოცე სკოლაში ვმასწავლებლობ, აგერ უკვე მეოცე წელია. მაღალ კლასებში ვასწავლი.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — ოთარმა მხრები აიჩეჩა და მოსაფიქრებელ მერხებზე ჩამწკრივებულ აბიტურიენტებს თვალი შეავლო. — როგორ არის საქმე, გოგონებო, ხომ არ დავიწყოთ?

გამოსვლა ვერავინ გაბედა.

— ქალბატონო მელანია, — თავაზიანად გადაიხარა კოლეგისკენ ოთარი. — იცით, რა, მოდით, თქვენ გამოსცადეთ... რაღაც ვერა ვარ კარგად...

— კი, ბატონო. — ოთარის წინადადება ესიამოვნა კიდეც მელანიას, სახეზე ია და ვარდი გადაეფინა. მაშინვე როლში შეიჭრა, საგამოცდო ფურცლები გადაარჩია და თავი რომ ასწია, წარბები უკვე მკაცრად ჰქონდა შეკრული:

— მაშ, ასე, ბავშვებო, ვიწყებთ. აბა, საპასუხოდ გამოვა გამრეკელი, ბილეთს აიღებს ლია ნადირაძე. ცოცხლად, ცოცხლად! დრო მიდის!

„ახლა მაკა სამინისტროს შენობაში შედის"... ოთარმა ზეპირად იცოდა მეუღლის მოძრაობის განრიგი და დროის ბიუჯეტი. ცხადად წარმოიდგინა, როგორ ადიოდა ის ამ წუთს კიბეზე, წელგამართული, თავაწეული...

ნათელა გამრეკელმა ყველა საკითხს კარგად უპასუხა, მაგრამ წინადადების გარჩევა გაუჭირდა და ოთხიანი მიიღო. მანანა ზედელაშვილი სამიანს დასჯერდა. ხათუნა კაიშაური მებრძოლი გოგონა გამოდგა — სამიანს უწერდნენ, მაგრამ თავი მოიკლა და არ დააწერინა, კომისიის თავმჯდომარე მოითხოვა, იმასთან იმარჯვა და ოთხიანი დაუწერეს.

ოთარმა უწყისში ჩაიხედა, სიას ჩაადევნა თვალი.

„აგერ ერთი ბარბალეც კია... ლუცინდაც... ვერ დავიჯერებ, იმას ლუცინდა ერქვას, ან, მით უმეტეს, ბარბალე... თუმცა, ეშმაკმა იცის..."

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— ბილეთს აიღებს ნანა ლამბაშიძე! — საიდანღაც, შორიდან მოესმა.

მაკა და ოთარი შეხმატკბილებულად ცხოვრობენ. შინ და გარეთ ყველაფერი რიგზე აქვთ, გარდა... გარდა... რაც უნდა სავსე იყოს, უბავშვოდ მაინც ცარიელია ბინა და ოჯახი... „მოიცა, ამ გახსენებაზე... ჰო, იმ შაბათს იყო: სიდედრმა რაღაც სიტყვა გადამიკრა. როგორ თქვა? — ახლა ამას მეტი ყურადღება უნდაო, შვილო, აწი გარე-გარე სიარულს მოუკელიო. ვითომ რატომ თქვა ეს? მოიცა, მოიცა... მაკამ მყისვე რაღაც მოიმიზეზა და ოთახიდან გავიდა, ერთი კი მოუხედა თავის დედას საყვედურით. მე მაშინ ცოტა ნასვამი ვიყავი, გუნებაზეც ვერ გახლდით და აღარ ჩავძიებივარ, არ დამიზუსტებია. რის თქმა უნდოდა ჩემს სიდედრს. იქნება... იქნება..."

— თამარ ჩიქოვანი აიღებს ბილეთს!

„თამარ ჩიქოვანი! თამარ!"

ქერათმიანი წამოდგა, მერხების მწკრივსა და ფანჯარას შორის გამოიარა და მაგიდისაკენ წამოვიდა. „რა საოცარი გოგოა, ღმერთო!" — გაიფიქრა ოთარმა, როცა აბიტურიენტის მოხდენილ, ოღონდ ოდნავ სისრულეშეპარულ ტანს თვალი შეავლო. ცისფერი, უსახო ქსოვილის სადა კაბა ეცვა, კაბა მუხლისთავებს უფარავდა, მაგრამ ცოტა ვიწრო კი ჰქონდა, თეძოებზეც შემოსალტოდა და სავსე მკერდიც ძლივს ეტეოდა შიგ. ლამაზად მოარხევდა ტანს, აშკარად ჩანდა, იცოდა საკუთარი მშვენიერების ძალა, თუმცა, ეტყობოდა, ამით როდი მოჰქონდა თავი.

ჩიქოვანმა ბილეთი აიღო. გრძელი, თლილი თითები ჰქონდა...

ოთარმა საოცარი შვება იგრძნო იმის გამო, რომ ზღვისფერთვალებას აგრაფინა ან არველოდი კი არა, არამედ სწორედ თამარი ერქვა სახელად. ოთარს ახლა თავისი უსახური მეწყვილეც გაცილებით უფრო სიმპათიური ეჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო: ხომ ქალბატონი მელანიას ბაგეებმა წარმოთქვეს პირველად ეს ღვთაებრივი სახელი: „თამარ!"

თამარი შორენას გაუხარელი სიყვარულის ამბავს ჰყვებოდა, ჰყვებოდა მშვიდად, აუჩქარებლად. ოთარს გულის სიღრმეში ეწყინა კიდეც — ამ ამბის აუღელვებლად თხრობა როგორ შეიძლებაო. მეორე საკითხი გრიგოლ ორბელიანის ლექსი იყო — „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში". ოთარს ეს დამთხვევა გაუკვირდა და უცებ გაახსენდა: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა..." თამარმა ბრწყინვალედ წაიკითხა ლექსი (აქ კი ოდნავ შეეფაკლა ფერმკრთალი ლოყები), ბრწყინვალედვე გააანალიზა. დაბალი, მაგრამ სასიამოვნო ხმა ჰქონდა. „მუსიკასავით ჟღერს... სულ რომ უსმინო, არ მოგბეზრდება..." ქალბატონი მელანიაც სიამოვნებით უსმენდა.

თავბრუდამხვევი მკერდი ჰქონდა თამარს, სავსე და მაღალი. ოთარმა თავს ძალა დაატანა და ფანჯარას მომდგარ ჭადრის ტოტზე გადაიტანა მზერა...

ჩიქოვანმა ზმნის გარდამავლობაც ზუსტად დაახასიათა, წინადადებაც სწორად გაარჩია და ის იყო, მოღიმარი ქალბატონი მელანია მის ხუთიანზე წარდგენას აპირებდა, რომ ოთარს უცებ იმისა შეეშინდა, ეს ქერათმიანი მადონა ახლავე თვალსა და ხელს შუა გამიქრებაო, თუ რა იყო, თავისდაუნებურად თვალი მოჭუტა და შეეკითხა:

— თამარ, შენს წინადადებაში არის ზმნა „ახატია". ხომ ვერ მეტყვი, რომელი გვარისაა ეს ზმნა?

აბიტურიენტი ან საერთოდ აღარ ელოდა შეკითხვას, ან სახელდობრ ოთარისაგან არ ელოდა, ამიტომ შეჩქვიფდა და თვალებგაფართოებული შეაჩერდა შემკითხველს.

ოთარმა შეიცადა, მერე გაუმეორა:

— ა? მაშ რომელი გვარისაა ზმნა „ახატია"?

ჩიქოვანი გაფითრდა. ოთარს ეს არ შეუნიშნავს, რადგან, თუმცა ქალს სადღაც ყელის არეში უყურებდა, გულისყური მაინც მისი ამაღელვებელი მკერდისაკენ ჰქონდა მიმართული.

— თამარ, საერთოდ რა არის ზმნის გვარი?

თამარ ჩიქოვანი ნერვულად აწვალებდა ქაღალდის ფურცელს თავი დაეხარა და საბოლოოდ დაბნეულს სახე ხან აელეწებოდა, ხანაც იმ ხელში ნაჭერი ქაღალდივით გაუთეთრდებოდა. ოთარი თვალს არ აშორებდა. ცოტა არ იყოს, ბრაზიც მოერია, რა ეშმაკმა გამოალენჩაო. თამარმა თავი რომ ასწია, ოთარმა და ქალბატონმა მელანიამ დაინახეს — თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— გამიშვით, — დაიჩურჩულა. — თუ შეიძლება, დამიწერეთ სამიანი და გამიშვით.

— მოიცათ, რა მოგივიდათ?! — ანგარიშმიუცემლად, აჩქარებით ჰკითხა ოთარმა და წამოდგა. — რა მოგივიდათ? — გაუმეორა. — დამშვიდდით.

— გამიშვით... — თამარს წყვილი ცრემლი ღაწვებზე ჩამოუგორდა და მკერდზე დაეცა. — გამიშვით, არაფერი მინდა. — ხმაში ჭირვეული ნოტი გაუჩნდა, — ბავშვი მელოდება ქვევით...

— დაიცა, გენაცვალე, რატომ ნერვულობ? — დაუყვავა ქალბატონმა მელანიამ, წამოდგა, მივიდა და მხარზე ხელი მოხვია. მერე ხმას დაუწია: — ჩვილი ბავშვი გყავს, შვილო?

ოთარმა მაინც მოჰკრა ყური. პასუხიც გაიგონა:

— დიახ. — ახლა უფრო მოაწვა ცრემლი. — ოთხი თვის ბიჭი... ეზოშია, ქვევით, დედამთილთან...

ოთარ დუჩიძისათვის უცებ ნათელი გახდა, თუ რა შუქი იყო ის შუქი, რომელიც ამ საოცრად ლამაზი ქალის სახეს ადგა და მის მხილველს ესოდენ ხიბლავდა, თვით ოთარს კი მისი არსი აქამდე ვერა და ვერ ამოეხსნა: ეს დედობის ნათელი იყო, დედური სიამაყე — გაუცნობიერებელი, უნებლიე, იდუმალი, დედობის შეუდარებელი შარავანდედი. და ოთარს სახეზე ალმური შეენთო, ისე შერცხვა იმ, — მართალია, საკუთარი თავისთვისაც კი გაუმჟღავნებელი, — მდაბალი გრძნობის გამო, წეღან ამ ქალის მიმართ გულში რომ გაუჩნდა და ასე შეიპყრო მისი არსება...

— ბატონო ოთარ...

— ჰო, დიახ... ახლავე, ქალბატონო მელანია! ახლავე. — ოთარი დაჯდა, ჩიქოვანის საგამოცდო ფურცელი მიიწია. წამით შეყოვნდა. მერე სწრაფად ჩაწერა ხუთიანი, ხელი მოაწერა და კოლეგას მიუჩოჩა: — მოაწერეთ, ქალბატონო მელანია. კომისიის თავმჯდომარეს მე თვითონ მივუტან. — შემდეგ თამარს ახედა, სახეზე ისევ რომ წაჰკიდებოდა ცეცხლი, წამოდგა და რაღაც უცნაური დანანებით თუ საყვედურით უთხრა: — გეთქვა, შე კაი ქალო, ასე თუ იყო... ადრე გაგიშვებდით...

ოციოდე წუთის შემდეგ ოთარი ჭავჭავაძის პროსპექტზე იდგა და ჩაქროლილ მანქანებს მოუთმენლად უწევდა ხელს, თან წამდაუწუმ საათს დაჰყურებდა: დღეს შაბათი იყო და იცოდა, რომ მაკა შინ იქნებოდა...

„რაო, როგორა თქვა სიდედრმა?..“

# „სალამურსა გულში ჩავწვდი“...

„მოდი ვნახოთ ვენახი...“ სხაპასხუპით ამბობს რვა წლის გია და ჩვენ გაოცებულნი ვუსმენთ. არადა, ვითომ საოცარია, ამ ხნის ბავშვმა, რომ ეს ლექსი თქვას?! იგი ხომ ყოველი ქართველისათვის „პოეტურ ამულეტადაა“ ქცეული. — საქმე ის არის, რომ იმერეთის ერთ კოპწია სოფელში მცხოვრები ბიჭუნა ოთხ წლამდე საერთოდ ვერ ლაპარაკობდა, შვიდი წლისას კი მეტყველება მძიმედ ჰქონდა დარღვეული. (ფლობდა მხოლოდ ხუთ ბგერას). ბავშვი ამას სასტიკად განიცდიდა, ყველას გაურბოდა. შემდეგ, კეთილი ადამიანების რჩევით, თბილისში ჩამოიყვანეს, განათლების სამინისტროს დიდი



სკოლის დირექტორი მერი ცხოიძე, პედაგოგები: ლ. ნებიერიძე, ნ. კვიჟინაძე, ლ. სარალიძე

დახმარებით გიას მშობლები ქალაქში ჩაწერეს და ყმაწვილიც ლოგოპედიურ სკოლაში განაწესეს. თუმცა გია სკოლაში გვიან მიიდა, ლოგოპედ ლამარა ნებიერიძის თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, არდადეგებზე ჩასული ბავშვი სოფელმა ძლივს იცნო და ლოგოპედიის „სასწაული" აღიარა.

საქართველოში ლოგოპედიის დამწყებად მიჩნეულია ა. კაიშაური. ერის დიდკაცმა გიორგი ახვლედიანმა კი დეფექტოლოგიის ეს დარგი მეცნიერულ საფუძვლებზე დააყენა და ლოგოპედთა მთელი კოჰორტა აღზარდა. სკოლებთან ჩამოყალიბდა ლოგოპედიური ჯგუფები, ხოლო შემდეგ კი თბილისის ლოგოპედიური სკოლაც გაიხსნა, რომელმაც ხანგრძლივი ოდისეის შემდეგ, ბინა ძნელაძის ქუჩაზე დაიდო. სწავლება 12 წლიანია, სკოლადამთავრებულები მიიღებენ რვა კლასის დამთავრების ატესტატს, მათ სწავლის გაგრძელება შეუძლიათ საღამოს სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

სკოლის დირექტორმა მერი ცხოიძემ 12 წელი იმუშავა ლოგოპედად: დახვეწილი ქართული, ენთუზიაზმი, საქმის დიდი ერთგულება და წერის შესანიშნავი ნიჭი! სკოლაში სულ 117 მოსწავლე და 33 პედაგოგია, არის ორცვლიანი სწავლება და 6 გახანგრძლივებული ჯგუფი. სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, რომლებიც კარგად ფლობენ თავიანთ საქმეს და მეტყველების მძიმე დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ადგენენ სპეციალურ დამხმარე სახელმძღვანელოებს. ამ სკოლის სამი მოსწავლე უკვე გადავიდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ერთი მათგანი იქაც წარჩინებულია. ბავშვები, რომელთაც მეტყველება ძალიან აქვთ დარღვეული, გადაჰყავთ სპეციალურ სკოლებში. ქალბატონი მერი და მისი მოადგილე ახალგაზრდა, ენერგიული მარლენ ბერიძე დიდი ტაქტით შთააგონებენ მშობლებს, რომ აუცილებელია მათი შვილების გადაყვანა სპეციალურ სასწავლებელში; სულ 13 ბავშვი გადაიყვანეს.

სკოლის ხელმძღვანელი გვიამბობს: სკოლაში არის ბავშვი, რომელსაც მძიმე დარღვევები ჰქონდა. ბავშვის დედა ირწმუნებოდა, ვიცი, ჩემი ბავშვი „გაიხსნებაო". პედაგოგებმა ირწმუნეს მისი, ცდა და რუდუნება არ დააკლეს და, მართლაც, წელს საახალწლო კარნავალზე გოგონა ისე მღეროდა, ცეკვავდა, ისეთი ოსტატობით კითხულობდა ლექსს, რომ სკოლის დარბაზი ტაშმა შესძრა. სადღაც იქ, ბოლო რიგში, ბედნიერი დედა ქვითინებდა...

მაგრამ სკოლას ბევრი სატკივარიც აქვს: არ ჰყავს ექიმი, არ გააჩნია კაბინეტები. მხოლოდ 8 პატარა საკლასო ოთახი აქვთ. ზოგ ოთახში სპეციალურ, დასაკეც დაფებსაც კი ვერა ჰკიდებენ; წესით დასასვენებელი ოთახებიც უნდა ჰქონდეთ. ჩვენმა სახელმწიფომ ამ ბავშვებს უფასო კვება დაუნიშნა; მათ კი ბუფეტიც არა აქვთ. არ აძლევენ ახალ ინვენტარს...


ლოგოპედიური სკოლის პედაგოგები


ნორჩი მხატვარი


ლ. სარალიძე ინდივიდუალურ მეცადინეობაზე


მასწავლებლები: ლ. ნებიერიძე და ნ. აბესაძე რიტმიკის გაკვეთილზე

დ. იაკობაშვილის ფოტოები

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუჭრელ პრობლემათა მოზღვავების გამო, სკოლამ შეფობა სთხოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, დედათა და ბავშვთა რესპუბლიკური საბჭოს წევრს, გარდაბნის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს მერი მდივანს. მან სკოლის ყველა სატკივარი გაისიგრძეგანა, აღუთქვა დახმარება, მაგრამ, როდესაც შეფობა ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო, ერთმა გულცივმა ამხანაგმა განაცხადა: გარდაბანშია და თბილისის სკოლას როგორ უშეფებსო, ხოლო მეორემ კი — უთქმელად „დააკონსერვა" ოფიციალური განცხადება. ამ ადამიანებს შევახსენებთ, რომ სიკეთემ და ენთუზიაზმმა მანძილი არ იცის! აბა ერთი წუთით წარმოიდგინონ დამეხილი მშობელი და მეტყველებადარღვეული ბავშვი, რომელიც შვებას ითხოვს!! კიდევ, კეთილი მასწავლებელი წარმოიდგინონ, ჯადოქარივით რომ მიეახლება ამ გულს, ჩასწვდება როგორც სალამურს, ჩასწვდება და... ამოათქმევინებს სიტყვის კონებს. მერე სიტყვას სიტყვაში ჩაწნავენ და ერთ მშვენიერ დღეს ერთმანეთს შენიშვნასაც კი მისცემენ მართლმეტყველებასთან დაკავშირებით... ამის დასტური მეშვიდე კლასში გაკრული ყოველკვირეული ტაბულაა, რომელზედაც ყმაწვილის ხელს დაუწერია — „ჩვენ ვიცავთ ენის სიწმინდეს".

უნებურად გვაგონდება დიდი ივანე პავლოვის გამონათქვამი:

„სიტყვამ გვაქცია ადამიანებად".

დასასრულ, წარმოგიდგენთ ერთ-ერთი მშობლის წერილს: „ჩემი შვილი 1980 წელს შემოვიყვანე ლოგოპედიური სკოლის 0 ჯგუფში. ბავშვს მძიმედ ჰქონდა დარღვეული მეტყველება, უჭირდა საკუთარი სხეულის მართვა...

გადიოდა დრო, ბავშვი დღითი დღე იზრდებოდა, იხვეწებოდა. მას გამოუსწორდა ყველა ბგერა, წერს, კითხულობს, ფონემატური სმენა თითქმის მოუწესრიგდა. სითბოთი და სიყვარულით არის გამსჭვალული პედაგოგების ლ. სალარიძის, თ. ფერაძის, დ. გელაშვილის და სხვათა მიმართ.

ბავშვი გადავიყვანე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. არ შემიძლია მადლობით არ მოვიხსენიო ლოგოპედიური სკოლის მთელი კოლექტივი მისი ენერგიული დირექტორის მერი ცხოიძის ხელმძღვანელობით.

მე, როგორც დედა, ვუსურვებდი ლოგოპედიური სკოლის კოლექტივს განადგურებული დედების გულები გაემთელებინოს, დედებისა, რომლებიც ამ შენობაში შემოდიან და უკანასკნელი იმედის თვალით შესცქერიან ამ სკოლის თითოეულ თანამშრომელს.

თვითონ სკოლას კი ვუსურვებდი — გაფართოებას, რათა ყველა პირობა შეიქმნას ამ ბავშვების ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის.

მადლობა ყველას! დიდი მადლობა, რომ მე და ჩემს შვილს დაგვიბრუნეთ სიხარული, აღგვიდგინეთ დაკარგული იმედი!"

**ნათელა ტაბატაძე**

# ბრიტანელების შვედი მემკვიდრენი



ზუსტად ოთხმოცდაათი წლის წინათ, 1895 წელს, ბრიტანეთში პირველად გაიმართა ფეხბურთელ ქალთა მატჩი. მაყურებელი და თავგამოდებული გულშემატკივარი არც იმ უჩვეულო სპორტულ სპექტაკლს მოჰკლებია, მაგრამ ქალთა ფეხბურთს დღეს ბევრად მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს.

ამ გაზაფხულის იმ წვიმიან დღეს 9 აპრილს, კიდევ ერთხელ გაივსო ჩვენი სტადიონის 75-ათასიანი ტრიბუნა. თბილისელი მაყურებელი უფრო ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა — „დინამოს" სტადიონზე ბრიტანელი „პირველი მერცხლების" არც თუ შორეული შთამომავალნი, შვედი ფეხბურთელი ქალები თამაშობდნენ.

მოედანზე გამოვიდნენ შვეციის საკლუბო გუნდები „იფკ ოსტერსუნდი" და „ფურუნეს-ბულმარკი".

აკი ვთქვი, მაყურებელი ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა-მეთქი, მაგრამ როგორც კი დაინახა, რომ ქალები, როგორც იტყვიან გამართულად თაპაშობენ ფეხბურთს, თვითონაც ნამდვილ გულშემატკივრად იქცა — მთელი მატჩის განმავლობაში შვედ ქალებს მხარდაჭერა და ოვაცია არ მოჰკლებია. მართალია, ვერ ვნახეთ მამაკაცების ფეხბურთისთვის ნიშანდობლივი ძალა და სისწრაფე (ამის პრეტენზია არც უნდა გვქონოდა — ქალების ფეხბურთი შენელებულ კადრებს ჰგავს მაინც), მაგრამ მაყურებელი ნამდვილად მოიხიბლა შვედი ფეხბურთელების მოედნის ხედვის უნარით, ბურთის ფლობის ტექნიკით, შორი და ზუსტი გადაცემებით, საგოლე სიტუაციების სიხშირით...

ყველაფერი ისე იყო, როგორც ნამდვილ ფეხბურთში... იმავე ხანგრძლივობის ტაიმები, ხვევნა-კოცნით გამოხატული გოლის სიხარული, ობიექტური მსაჯობა, ტრავმა, მეკარის გაფიცხება...

ბოლოს მაინც „ფურუნეს-ბულმარკმა" აჯობა „იფკ ოსტერსუნდს" — როკელ ბექსტრიომმა (ორი) და ლისა ჰამენმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს გუმილა ლარსონის კარში.

თამაშის შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართე მატჩის არბიტრს და თავად ფეხბურთელებს.

— ქალის ღირსებებზე რომ ლაპარაკობენ, მის გარეგნობასაც გულისხმობენ ხოლმე. იმის თქმა მინდა, რომ მაყურებელთა დიდი ნაწილი დღეს დურბინდით მოვიდა სტადიონზე. თქვენ კი უფლება არ გქონდათ მათი ცქერით დამტკბარიყავით...

**მატჩის მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ველოდი მიმინოშვილი:** — ქალების ფეხბურთი სხვა დროსაც მინახავს, მსაჯობა კი პირველად მომიხდა. მართალი გითხრათ, თამაშის დაწყებამდე ვღელავდი, მეშინოდა ვინმე არ დაშავებულიყო. მაგრამ დაიწყო მატჩი და მაშინვე დამავიწყდა, რომ ქალების თამაშს ვსჯიდი. ყველაფერი ისე იყო, როგორც ჩვეულებრივ, ტრადიციულ ფეხბურთში. არც შეღავათები სჭირდებათ, ნურც ზედმეტად მკაცრი იქნები.

სკანდინავიელებმა ევროპაში პირველებმა აიტაცეს ქალების ფეხბურთი. დღეს კი შვედები კონტინენტზე უძლიერესნი არიან. ჩვენ რომ ასე მოგვეწონა შვეციის მეორე და მესამე ლიგის გუნდების მატჩი, წარმოიდგინეთ, რა კარგი სანახავი იქნება ევროპის ჩემპიონებისა და ვიცე-ჩემპიონების თამაში. დღევანდელი დღე განსაკუთრებით საინტერესო იქნება ჩემს ცხოვრებაში — საბჭოთა კავშირში მე ერთ-ერთმა პირველად ვიმსაჯე ქალების მატჩში და, გულახდილად გითხრათ, ძალიან მომეწონა.

— ალბათ იცით, რომ თქვენამდე თბილისში ქალებს ფეხბურთი არ უთამაშიათ.

**„ფურუნეს-ბულმარკის" კაპიტანი როკელ ბექსტრიომი** — დიახ, ეს მატჩის დაწყებამდეც ვიცოდით, გვითხრეს კიდეც, ბევრი ხალხი მო-



ვაო. მაგრამ ფაქტმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოთელვაზე რომ გამოვედით და ტრიბუნებს შევხედე, თავი სიზმარში მეგონა. გასახდელში რომ დავბრუნდით, შოკში ვიყავი, მაგრამ თამაში დაიწყო თუ არა, ერთბაშად ყველაფერი კალაპოტში ჩადგა — მაყურებელმა ძალიან გაგვამხნევა.

— შარშან მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ჩამოსულმა თქვენმა თანამემამულე პია კრამლინგმა თქვა, ფეხბურთს ვთამაშობო. ამის შესახებ თუ იცოდით რამე?

— არა, მაგრამ, მართალი გითხრათ, არ გამკვირვებია. ფეხბურთი შვედი ქალების საყვარელი თამაშია.

— თუ შეიძლება, ცოტა რამ მოგვიყევით თქვენს შესახებ.

„იფკ ოსტერსუნდის“ მოთამაშე ანი იუნასონი: — თხუთმეტი წლის ვარ. ვსწავლობ მეცხრე კლასში. ორი წელია ფეხბურთს და ხელბურთს ვთამაშობ. მამა გარდამეცვალა. მყავს დედა, ძმა და ორი და. ოჯახში ძალიან უხარიათ, რომ ფეხბურთელი ვარ. ყოველდღე ორ-სამ საათს ვვარჯიშობ. თბილისი მომეწონა, თბილი და ლამაზი ქალაქია, მაგრამ მაინც ძალიან მომენატრა ჩემი ხელბურთელი მეგობრები, „პიცა“ და ჩემი საყვარელი ნამცხვარი, რომელიც თქვენს ქალაქში ვერსად ვნახე.





ა. ქოტორაშვილის ფოტოები

— რეჟიმის გამო სპორტსმენები ბევრ სიამოვნებაზე ამბობენ უარს. თქვენ კი ნამცხვრები გყვარებიათ...

— უარს არაფერზე ვამბობ. ნამცხვარიც მიყვარს, რასაკვირველია. არც მოგებას და წაგებას, ლიგაში დაკავებულ ადგილს აქვს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა. გვსიამოვნებს და ვთამაშობთ.

— რა გიყვართ, რითი ხართ გატაცებული?

— პოპ-მუსიკა, როკი, დისკო, ერთი სიტყვით, ყველანაირი მუსიკა, საოპეროს გარდა. ძალიან მიყვარს მათემატიკა. ვკითხულობ სასიყვარულო და სათავგადასავლო რომანებს. ფრანგულის სწავლა დავიწყე, მაგრამ არ მომეწონა და თავი დავანებე. ახლა ინგლისურს ვსწავლობ (ვსწავლობო, თქვა, თორემ ანი იუნასონი გამართული ინგლისურით ლაპარაკობდა. ნ. ჯ.). სკოლას რომ დავამთავრებ, ვიმოგზაურებ. შეიძლება მეც გკითხოთ?

— რა თქმა უნდა.

— ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად, მშურს, თქვენი შავი თვალები და მუქი თმაა (ანი ტიპიური სკანდინაველია — ცისფერთვალება და ქერათმიანი. ნ. ჯ.). საერთოდაც საქართველოში ულამაზესი ქალები ყოფილან. თქვენი ბიჭები კი სულ ჩვენ გვიყურებენ...



* * *

დამშვიდობებისას თავიანთი კლუბის მისამართი ჩამიწერეს — თუ თქვენს პრესაში ჩვენს შესახებ რამე დაიბეჭდება, ამ მისამართზე გამოგვიგზავნეთო.

**ნანა ჯოხარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცის დანატოვარი

# ჩამთვალეთ კომუნისტად



ჩემი ძმა არჩილ ესტატეს ძე ბურდული თიანეთის რაიონში სოფელ თრანში დაიბადა 1921 წელს. პოეზიის მადლსაც ამ მიწაზე ეზიარა. სპეციალობით აგროტექნიკოსი მშვენიერ ლექსებს წერდა „არაგველის" ფსევდონიმით. ერთი წლის მანძილზე მოდიოდა მისი ფრონტული ბარათები. აი რას სწერს ერთერთ მოკითხვის ბარათში მეუღლეს — ეთერს: „ეგ არის, რომ ახლოდან თქვენი ნახვა არ შემიძლია, თორემ სხვად ისე ვარ, როგორც პაპაჩემ ნადირას ხელით მოქნეული ხმალი. ვეფხვივით ვტრიალებ, ზარბაზნით ტყვიის მაგივრად რომ გამისროლონ, ისეთი ყისმათი მაქვს, რომ მაინც არ მოვკვდები. ჩვენი შვილი ისეთი გაზარდე, რომ მამა გაახაროს".

მერე შეწყდა ბარათები...

ოჯახის სახელზე მოვიდა ცნობა: არჩილ ესტატეს ძე ბურდული სამშობლოსათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ბელორუსიის მიწა-წყალზე. იქვე, დნეპრის მარჯვენა მხარეს არის დაკრძალული. ძმათა სასაფლაოზე მიბარებულს ბრძოლითა და სისხლით მოპოვებული სამი მედალი და ორდენი უბრწყინავდა მკერდზე.

„ახლა უნდა ნახო, რომ მე ტყვია არ მეკარება", — მწერდა ჩემი ჯარისკაცი ძმა. — შტაბში გამომიძახეს და მითხრეს, ყოველი ორდენოსანი პარტიის წევრი უნდა გახდესო და მეც სიხარულით დავწერე განცხადება. ახლა შენი ძმა პარტიის წევრიც არის".

რვაჯერ მონაწილეობდა ოცეულის მეთაური არჩილ ბურდული შეტევითს ბრძოლებში. მეცხრე კი საბედისწერო აღმოჩნდა.

პატარა მარლენი ტიტინით არ შეგებებია მამას სოფლის ბილიკზე, არც უნახავს თვალით მშობელი მამა, სამაგიეროდ დანაპირები შეასრულა არჩილის მეუღლემ — ისეთი ვაჟკაცი გაზარდა, როგორც მას გაუხარდებოდა. დღეს, მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი მარლენ არჩილის ძე ბურდული 20 მეცნიერული ნაშრომის ავტორია და მამის სახელზე ზრდის თავის პირმშოს, პატარა არჩილს.

სოფიო ბურდული
ვეტერანი.

## ფრონტული ლექსები

### დედას

საყვარელო დედი,
ვიმყოფები კარგად,
შორს წასული შვილი
ნუ გექნება დარდად.

მტერი ჩვენ ვერ დაგვძლევს,
ფოლადი გვაქვს გულში,
მაგონდები დედი
ბავშვურ სიყვარულში.

საქართველოს მთა და ველო,
ნეტავ შენთან მომიყვანა,
მინდა გზებით შემოგევლო,
მაგრამ სად მაქვს იმის ძალა.

შენ მშობელო ტკბილზე ტკბილო
დაიძინე მშვიდი ძილით,
არ მიეცე მწარე ფიქრებს, —
მებრძოლია შენი შვილი!

გმართებს მხოლოდ სიამაყე,
გართობა და შვება-ლხენა,
უნდა მამულს შემოვევლო,
ასეთია ბედის წერა.

მტერს შევხვდები ვაჟკაცურად
არ მჩვევია ძრწოლა, შიში,
წინ მინათებს შენი სახე
ამ ცეცხლსა და გასაჭირში.

და თუ დავსხლტი ბრძოლის ველზე,
ველარ ვნახავ ერწოს ტყიანს,
შორს დავტოვებ საქართველოს
და სიცოცხლეს მივსცემ ტყვიას,

არ დაიწყოთ ჩემზე დარდი,
დაიმშვიდეთ მხოლოდ გული
მე არ მიყვარს ცრემლის დენა,
მიყვარს ლხენა, სიხარული.

სულ ეს არის ჩემი თხოვნა,
მოიგონეთ ჩემი სახე
საბოლოოდ ჩემი ხსოვნა
ჩემი ლექსით შეინახეთ.

### ჩემო ლამაზო სამშობლოვ

აყვავებულა სამშობლო,
ამწვანებულა ველები,
დღეს გულმა იგრძნო სიამე
დამტკბარა საკვირველებით.
სამშობლოვ, ჩემო სამშობლოვ,
სამშობლოვ გენაცვალები,
შენსკენ წამოსულ მახვილსა
ფარად მე ავეფარები.
გიმღერის ხალხი დამტკბარი
სიცოცხლე მოსჩქეფს ყველგანა,
არ გიღალატებ არასდროს
ჩემო ლამაზო ქვეყანავ!

არჩილ ბურდული
1942 წელი

# იქნებ თქვენ მიც-ნობთ?!



მხატვარი დ. ზარაფიშვილი

კვირა დილა გათენდა. ადრიანად წამოვდექი და დაპირებისამებრ პატარა გიორგი გამარჯვების პარკში წავიყვანე.

მისვლისთანავე გიორგი სიხარულით შეუერთდა ტოლებს, მე კი იქვე ჩრდილში გრძელ სკამზე ჩამოვჯექი.

მძიმე ნაბიჯით უცნობი დარბაისელი ქალი მომიახლოვდა, უნებლიეთ წავიწიე და ადგილი დავუთმე. იგი უხმოდ დაჯდა და იდაყვით სკამის საზურგეს დაეყრდნო. მისი სახის გამომეტყველებამ, რომელზეც დიდი მწუხარება იყო აღბეჭდილი, გუნება ერთბაშად შემიცვალა.

ორივე ვდუმდით...

თავჩაღუნული ვიჯექი. ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. ბოლოს ისევ მან დაარღვია მყუდროება და მკითხა:

— ხომ არ შეგაწუხეთ?

თავი ავწიე და მის ფერმკრთალ, გატანჯულ სახეს რომ შევხედე, ძლივს ამოვილუღლუღე:

— რასა ბრძანებთ!..

უცნობმა სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ჩვენს შორის მალე გულთბილი საუბარი გაიმართა. რომ გავუშინაურდი შევბედე:

— წლები მაინცდამაინც არ გეტყობათ, მაგრამ, ჩანს, დიდი მწუხარება გადაიტანეთ.

ქალმა ღრმად ამოისუნთქა და გაბზარული ხმით დაიწყო:

— იმ ავადმოსაგონარ წელს პიონერთა ბანაკში — „არტეკში“ ვისვენებდი, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან წარჩინებული პიონერები იყვნენ ჩამოსული. მე და კიეველი მაია რგოლის ხელმძღვანელები ვიყავით. თხუთმეტი წლის გამხდარი, მაღალი, ცისფერთვალება ლამაზი გოგონა გვერდიდან არ მშორდებოდა. ისე შევეთვისეთ ერთმანეთს, რომ წარმოუდგენლად მიგვაჩნდა დაშორება. დრო კი სწრაფად გარბოდა. ჩვენი გამომშვიდობების ჟამი ახლოვდებოდა.

პიონერთა ბანაკში იმ დღესაც, როგორც ყოველთვის მხიარულება სუფევდა...

შუადღისას რადიომ შემზარავი ამბავი გვამცნო: — ფაშისტური გერმანია ვერაგულად თავს დასხმოდა ჩვენს ქვეყანას... შეძრწუნებულნი, შემკრთალნი და შეშინებულნი მივჩერებოდით ერთმანეთს. ამ მოულოდნელმა უბედურებამ თავზარი დაგვცა...

როცა, რადიომ სხვა ქალაქებთან ერთად კიევის დაბომბვის ამბავი გვაუწყა, მაია ატირდა... ბავშვური დაჟინებით შინ დაბრუნებას მოითხოვდა. მაგრამ გაირკვა, რომ მას სახლი აღარ ჰქონდა, დედ-მამა, და-ძმა აღარ ჰყავდა...

აფორიაქებული მშობლები შვილების წასაყვანად ჩამოდიოდნენ. დედაჩემმა მხოლოდ მეხუთე დღეს მოაღწია ჩემამდე. ამ მოკლე ხანში საოცრად შეცვლილიყო.., მამა და ჩემი ძმა პირველ დღესვე წასულიყვნენ ფრონტზე.

დედამ ბანაკის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მეორე დღეს მე და მაია თბილისში წამოგვიყვანა. იმ დღიდან მას ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთმანეთისაგან არ გვარჩევდა.

უკრაინელი გოგონა პირველ ხანებში ვერ ეგუებოდა ჩვენს გარემოს, სულ მარტო უნდოდა ყოფნა, მაგრამ ოჯახმა, სკოლამ, ამხანაგებმა მწუხარება თანდათან შეუმსუბუქეს.

დავდიოდით სკოლაში. სკოლიდან — მეკავშირეთა კურსებზე, სადაც ძალიან გაგვიძნელდა მოწყობა, რადგან არასრულწლოვანნი ვიყავით. ბოლოს მაინც ჩვენი გავიტანეთ... დეკემბრის შუა რიცხვებში კურსები წარჩინებით დავამთავრეთ. მოწმობებიც მივიღეთ, რამდენიმე დღის შემდეგ კი სახლიდან გავიპარეთ. პირდაპირ ფრონტს მივაშურეთ ისე, რომ ამის შესახებ არავისათვის არაფერი გვითქვამს. წასვლისას დედას ბარათი დავუტოვეთ. პატიებას ვთხოვდით.

იმავე ღამეს მოხერხებულად ავძვერით თბილისიდან მიმავალ სამხედრო ეშელონის ერთ-ერთი ვაგონის სახურავზე. საშინლად ციოდა. ერთმანეთს ვეკვროდით. ასე ჩავედით რომელიღაც სადგურში. იქიდან თოვლში კარგა ხანს ვიარეთ სოფელ-სოფელ. გზად კეთილი ადამიანები გვწყალობდნენ, თავიანთ ლუკმას გვიყოფდნენ და ღამეს გვათევინებდნენ. ასე წვალებით ოცდათერთმეტ დეკემბერს, საღამოს მივადექით ერთ სამხედრო ნაწილს, სადაც დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ჩაგვრიცხეს მეკავშირეთა ათეულში. ჯარისკაცის ფარაჯა ჩავიცვით, საბრძოლო ფიცი მივიღეთ და ჯარისკაცურ ცხოვრებას შევუდექით.

რამდენიმე საათის მისული ვიყავით ნაწილში, რომ ძველმიწურში კაპიტანი შემოვიდა და ახალი წელი მოგვილოცა, პოლკის შტაბიდან გამოტანებული საახალწლო ნობათი გადასცა ჩვენს მეთაურს:: ქართული ჩაი, ჩურჩხელები, ჩირი, გოზინაყი, თამბაქო, არაყი და თბილი წინდები.

მეორე დღიდან დაიწყო ჩვენი ფრონტული ცხოვრება. ბრძოლის ველზე მეკავშირეობა მეტად მძიმეა. დღისით თუ ღამით, დარსა თუ ავდარში, ტყვიების განუწყვეტელ ზუზუნში დაზიანებული ხაზის აღსადგენად მივდიოდით. ჩვენი მოვალეობა გაწყვეტილი კავშირის დროულად აღდგენა იყო. გამარჯვების ბედი ამაზე დიდად იყო დამოკიდებული, ტყუილად კი არ უწოდებდნენ მეკავშირეებს არმიის ნერვებს!..

ვინ მოთვლის, ომის დამთავრებამდე რამდენი რთული დავალების შესრულება მოგვიხდა მე და მაიას, მაგრამ ყველაზე საგულისხმო და დაუვიწყარი პირველი საბრძოლო ნათლობა იყო, რისთვისაც სარდლობის მადლობა დავიმსახურეთ...

ჩემმა მოსაუბრემ ისევ გააბოლა სიგარეტი, მძიმედ ამოიოხრა და თხრობა განაგრძო:

— იმ ღამეს საშინლად ბნელოდა. ჭურვისაგან გადახნული იყო თოვლით დაფარული მიწა. ნაბიჯის გადადგმა ჭირდა. თოვლში ვეფლობოდით, ტყვიამფრქვევის კაკანი და ქვემეხების სროლის ხმა სმენას გვიხშობდა. დავალებული გვქონდა მდინარის გადალახვა და დაზიანებული კავშირის აღდგენა. ხან ხოხვით, ხან მოკლე გადარბენით მივადექით ნაპირს. ნახევრად გაყინული მდინარე რომ დავინახეთ, ერთბაშად გავშეშდით და ერთმანეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მკითხველის სიგნალის შემდეგ

სოფელ ბორითის სკოლასა და საბავშვო ბაღს ბონდის ხიდი გვაკავშირებს. 1982 წელს წყალდიდობისას ეს ხიდი წყალმა წაიღო. ახლა სკოლასა და საბავშვო ბაღში მისვლა მხოლოდ საცალფეხო ბილიკით შეიძლება, რომელიც ციცაბო ფერდობზე ეშვება. ღმერთმა დაიფაროს და, — ბავშვებს რომ ფეხი დაუსხლტეთ, ადიდებულ ძირულაში გადაცვივიან.

აუცილებელია ბავშვების სკოლაში და საბავშვო ბაღში გაცილება, რომ რაიმე საფრთხე არ შეექმნათ. მე კი, — ექვსი შვილის დედას, — ამის საშუალება არ გამაჩნია. სკოლიდან გამოსული ჩემი შვილები მთელი დღე მგზავრებს ელოდებიან, რომ ფერდობებზე უვნებლად გადმოვიდნენ. მეუღლე ცდილობს როგორმე დამეხმაროს, მაგრამ უდროობის გამო ვერ ახერხებს. ვერ ვასწრებთ ბავშვების ამხელა გზაზე წაყვანას და მოყვანას. წლეულს ახალი სადარდებელი გაგვიჩნდა: სამი ბავშვი უკვე სასკოლო ასაკისაა, მაგრამ მდინარეზე ხიდის უქონლობის გამო, იძულებული ვართ უარი ვთქვათ მათ სკოლაში გაგზავნაზე.

ადგილობრივი ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაგვეხმაროს. გადებენ დროებით ხიდს და, — წარამარა მიაქვს ადიდებულ ძირულას! ნაპირის გამაგრების სახსრები კი ალმასკომს არ გააჩნია. სადღა არ მივმართეთ განცხადებით, მაგრამ ჩვენი თხოვნა უშედეგოდ დარჩა.

ბევრი იწერება და ბევრიც კეთდება მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად. ძვირფასო რედაქციავ! თქვენც მოგმართავთ დახმარებისათვის. გვჯერა, რომ ჩემსა და ჩემი თანასოფლელების თხოვნას ყურად იღებთ და აღმოგვიჩენთ დახმარებას.

ნანა პაქსაშვილი,
ბორითი, ორჯონიკიძის რაიონი.

ამ წერილის თაობაზე საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე ამხ. შ. კაბიძე იტყობინება:

1982 წელს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანდა ნატახტარ-ხაშურ-ქუთაის-სამტრედია-ცხაკაიის გზის 116-162 კილომეტრი. გზის აღსადგენად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით გამოიყო კაპიტალური დაბანდების სახსრები, რომლითაც 1984 წლამდე შესრულდა გარკვეული სამუშაოები.

ზემოთ დასახელებულ ობიექტზე, პროექტით გათვალისწინებულიდან შეუსრულებელი სამუშაოები, მათ შორის 712 კმ-ში ქვედა საყრდენი კედლის მშენებლობა (165 ათასი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით) სამინისტრომ წლევანდელი წლის საკავშირო და რესპუბლიკური გზების კაპიტალური რემონტის გეგმაში შეიტანა. სამუშაოები მთლიანად 1985 წლის მე-4 კვარტალში დამთავრდება.

შევხედეთ. მდინარე ყინულის ნატეხებს მიაქანებდა. დრო არ ითმენდა, უცბად. თითქოს რაღაცამ გვიბიძგაო, მავთულის კოჭი ზურგზე მოვიგდეთ და ორივე ხელი გავითავისუფლეთ, შევურჩიეთ მომენტი და მოცურავე ყინულის დიდ ნატეხზე შევხტით. თავს ძლივს ვიკავებდით. მაია მამხნევებდა. მართლაც, მალე დავიცავით წონასწორობა. ყინულიდან ყინულზე ხტომით მივიწევდით წინ. ის იყო, შუა მდინარეს გავცდით, რომ მაიას ყინულმა უმტყუნა და მდინარეში ჩავარდა, მაგრამ არ დაბნეულა, ხელები გაშალა და ნიჩბებივით აამოძრავა. ცურვით გავიდა ნაპირზე, მეც მალე მივაღწიე ხმელეთს. დიდხანს ვეძებეთ გაწყვეტილი მავთული, როგორც იქნა, ვიპოვეთ და ხაზი სწრაფად აღვადგინეთ.

უკან რომ ვბრუნდებოდით, მაიას მარჯვენა ხელი კისერზე ჰქონდა მიჭერილი. სისხლი სდიოდა, ეტყობა, ცურვის დროს — ყინულის ნაგლეჯს გაეჭრა. თანდათან სუსტდებოდა, ძალა ეცლებოდა, ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, ბოლოს ულონოდ ჩაიკეცა. იძულებული გავხდი ძალა მომეკრიბა და ზურგზე აკიდებული მიმეყვანა ჩვენებთან.

მაია ათიოდე დღე საველე ჰოსპიტალში იწვა. რომ გამოჯანმრთელდა, ისევ ნაწილს დაუბრუნდა... ჩვენ ბოლომდე ერთად ვიყავით, რის გამოც ყოველგვარი სიძნელის გადატანა გვიადვილდებოდა...

ქალები ომის დამთავრების შემდეგ მალე დაგვითხოვეს. გამარჯვებულნი სიხარულით მივიჩქაროდით ოჯახისაკენ, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა...

დედა ცოცხალი აღარ იყო... მამა და ძმა ომში დაღუპულიყვნენ. ახლობლები თავს გვევლებოდნენ, მაგრამ მათ მაგივრობას, აბა ვინ გაგვიწევდა?

ბედს დავემორჩილეთ... შევუდექით დამოუკიდებელ ცხოვრებას, ვცდილობდით, ერთმანეთისათვის შეგვემსუბუქებინა უბედურება.

მაია მალე გათხოვდა. ჩვენი ათეულის ყოფილმა მეთაურმა მერაბ აბულაშვილმა შეირთო. მათ ერთმანეთი ომში ყოფნის დროიდან უყვარდათ. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით. მარტო არ მტოვებდნენ.

ძლივს სიხარული და ხალისი დაეტყო ოჯახს. მაგრამ ყველაფერი ეს ხანმოკლე აღმოჩნდა...

ზაფხულში მაიამ კიევის გარეუბანში ჩასვლა და დანგრეული სახლ-კარის აღდგენა მოინდომა, რამდენიმე თვეში მეზობლების დახმარებით პატარა სახლი ააშენეს, ეზოც მოაწესრიგეს...

თბილისში წამოსვლის წინა დღეს მერაბი ეზოს ბოლოში ხეებს რგავდა. უცბად საშინელი აფეთქების ხმა გაისმა. თურმე ის ადგილი დანაღმული ყოფილა... გამსკდარი ნაღმის ნამსხვრევებმა სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი ნაფლეთებად აქცია... ამ ხმაურზე მაია სახლიდან გამოვარდნილა და უგონოდ იქვე დაცემულა...

მე რომ ჩავედი, იგი საავადმყოფოში იწვა, ძლივს მიცნო. ხელოვნურად უმშობიარებიათ, გოგო შესძენია. ხუთი დღე იცოცხლა. უბედურმა, სწორედ გარდაცვალების დღეს მოიხედა, თვალები გაახილა და ლაპარაკი დაიწყო, მთხოვა გოგონასათვის მისი სახელი დამერქმია და დედობა გამეწია. როცა გაიზრდებოდა, ყველაფერი გამემხილა და მეამბნა მისი მშობლების შესახებ. თან გადამეცა დედისეული ბეჭედი და საათი.

სურვილი შევუსრულე, გოგონას მისი სახელი დავარქვი, დედობაც გავუწიე, შვილივით გავზარდე, ჩემი პირადი ცხოვრება მას ვანაცვალე, იგი ჩემთან ცხოვრობს, მხოლოდ თხოვნა, რომ ყველაფერი მეამბნა, ჯერ კიდევ არ შემისრულებია. მართალია, ის უკვე ქმარშვილიანი ქალია, მაგრამ მიჭირს სინამდვილის გამხელა, მასაც ვუფრთხილდები და...

არადა, მე სიკვდილს ყოველდღე ველი. არ ვიცი, როგორ სჯობია! მე ვუამბო ყველაფერი, თუ იმ ბარათმა, რომელსაც ჩემი გარდაცვალების შემდეგ წაიკითხავს?..

იქნებ თქვენ მირჩიოთ?

თინა ჟვანია,
კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა





საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსა-
ხურების სამინისტროს მოდელების სახლში





ავტორები მხატვარი მოდელიორები
— ნანა ცქშიტაია, და მანანა კუპრაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კულინარია

# ჩაროში („დესერტი")

### გოგრის ღვეზელი

პროდუქტები:. 1 კგ გოგრა, 1/2 ლიტრი რძე, 2 კვერცხი, 150 გრ შაქარი, 50 გრ ნიგოზი.

გოგრას კანი და გული მოაცილეთ, დაჭერით მომცრო ნაჭრებად, ჩააწყვეთ ქვაბში, დაუმატეთ ცოტა წყალი და კარგად ჩაშუშეთ; გადაწურეთ წყალი (თუკი დარჩა), გადმოიტანეთ მომცრო ტაფაზე, მოასხით შაქარში და რძეში ათქვეფილი კვერცხი და გამოაცხვეთ აეროღუმელში. გააგრილეთ. მოაყარეთ დანაყილი ნიგოზი, დაჭერით კოხტა ნაჭრებად და მიირთვით.

### ღვეზელი ხილფაფით („ჯემით")

პროდუქტები: ცომისათვის — 125 გრ კარაქი (ორი სუფრის კოვზი), ან სხვა რამ ცხიმი (ზეთის გარდა), 2 კვერცხი, 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი, ერთი სავსე ჩაის კოვზი საჭმლის სოდა, 1 კოვზი ლიმონმჟავა (ან ორი ჩაის კოვზი ძმარი ან ლიმონის წვენი), ვანილი (გემოვნებით), ცედრა (გახეხილი ლიმონის კანი), 600-800 გრ პურის ფქვილი;

გულში ჩასართავად — 1 ჩაის ჭიქა ხილფაფა — (რომელი ხილითაც გნებავთ) და შაქრის „პუდრა".

მოზილეთ საშუალო სისქის ცომი ზემოთმოცემული პროდუქტებით. ცომის ორი მესამედი გააბრტყელეთ, გადაიტანეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ ტაფაზე და თანაბარ ფენად გადაუსვით ხილფაფა. დანარჩენი ცომი დამატებით შეზილეთ ცოტაოდენ ფქვილთან ერთად, ისე რომ ცომი უფრო მაგარი გამოვიდეს და მსხვილი სახეხით ხილფაფას ზემოდან დაახეხეთ (მოაყარეთ), ღვეზელი უნდა გამოცხვეს საშუალო სიმხურვალის ღუმელში. როცა გაცივდება შაქრის „პუდრა" მოაყარეთ და როგორც გნებავთ, ისეთ ნაჭრებად დაჭერით.

### ნიგვზიანი ღვეზელი

პროდუქტები: ერთნახევარი ჭიქა ფქვილი, 100 გრ კარაქი ან მარგარინი, 1 ჭიქა შაქარი, 200 გრ დანაყილი ნიგოზი, 3 კვერცხი, 1/4 ჩაის კოვზი საჭმლის სოდა, ცოტა მარილი.

კარაქი (მარგარინი) მაცივრიდან გამოიღეთ და მაშინვე დანით დაკუწეთ, გაცერით ცალკე ფქვილი დაფაზე, დაალაგეთ ზედ კარაქის ნაჭრები და კეპეთ დანით მანამდე, სანამ ცხიმისა და ფქვილის ერთნაირ ფხვიერ მასას მიიღებთ. შემდეგ ერთად, ბორცვივით მოაგროვეთ, შუაში ჩაალრმავეთ და ჩადეთ შიგ ნახევარ ჭიქა შაქართან ალესილი კვერცხის გულები, მარილი და მოზილეთ ცომი, გააბრტყელეთ, დადეთ ცხიმწასმულ ტაფაზე, თანაბრად მოაყარეთ დანაყილი ნიგოზი, რომელიც 1/4 ჭიქა შაქარშია არეული, შემდეგ მაგრად ათქვეფილი კვერცხის ქაფით გადაფარეთ და გამოაცხვეთ 30-40 წუთის განმავლობაში ზომიერი სიმხურვალის ღუმელში.

---

გარეკანის პირველ გვერდზე — ა. გოდუნოვის ფერადი სლაიდი „დედოგა"; მეოთხეზე — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოდელების სახლის ნამუშევრები. ავტორები — ნ. ცქვიტაია და მ. კუპრაშვილი.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა წარმოებას 7. 05. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 06. 85 წ., ქაღალდის, ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.3.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 148000 შეკვ. 1049 უე 05500

# ქსოვა

## პატარებისათვის







ნაქსოვი შესრულებულია წინდისებური ქსოვით. მაისური და ქვედატანი იქსოვება განივად, მართკუთხედის ფორმის (თქვენზეა დამოკიდებული ზომების აღება). ნაქსოვი გაკერილია ქსოვილურად.

ქსოვილური ნაკერი კეთდება შემდეგი წესით: ავკრიფოთ თვლები სხვა ფერის ძაფით, სამი-ოთხი რიგის მოქსოვის შემდეგ განვაგრძოთ ქსოვა ძირითადი ფერის ძაფით. დამთავრებისას კვლავ მოვქსოვოთ სამი-ოთხი რიგი კვლავ განსხვავებული ძაფით და ღია თვლებით ჩამოვხსნათ ჩხირებიდან. ნაქსოვის თავი და ბოლო გავაუთაოთ სველი ნაჭრის ქვეშ. მოვარღვიოთ განსხვავებული ფერის ძაფი ორივე მხრიდან, საწყისი მხრიდან გამოვწიოთ ბოლო სხვა ფერის ძაფი. მივიღებთ ორივე მხრიდან ღია თვლებს, მოვკეცოთ ნაქსოვი და გავკეროთ შემდეგნაირად: პირველად ნემსი გავუყაროთ ორ ქვედა თვალს, შემდეგ ზედა ორ თვალს, შემდეგ ქვედა ერთ დამაგრებულ და ერთ ღია თვალს და ამავე წესით ერთ ზედა დამაგრებულ და ერთ ღია თვალს. ვეცადოთ ძაფი არ მოვჭიმოთ. დამთავრებისას ისეც გავაუთაოთ სველი ნაჭრის ქვეშ ნაქსოვის მიმართულებით.

მოსაცმელის ქსოვა იწყება სახელოდან, სახელოს სიგრძეს რომ მოქსოვთ, გააკეთებთ ნამატს ორივე მხრიდან (თქვენი ზომის მიხედვით). მხრის სიგანის მოქსოვის შემდეგ, გაყოფთ თვლების რაოდენობას შუაზე და სხვა ჩხირზე იწყებთ წინა მხარეზე მოკლებას. მოქსოვთ, რა სიგანეც თქვენ გჭირდებათ და გადაქსოვთ. მეორე ჩხირზე განაგრძობთ ზურგის ქსოვას, მოქსოვთ იმდენ რიგს, რამდენიც საყელოს დასჭირდება. შემდეგ კვლევ სხვა ჩხირზე ავკრიფავთ თვლებს იმ რაოდენობით, რამდენიც წინამხარეს გვქონდა დამთავრებისას და ვიწყებთ მატებას, ვუმატებთ იმდენ თვალს, რამდენიც მოვაკელით. შემდეგ შევაერთებთ ზურგის მხარეს დატოვებულ თვლებთან და მოვქსოვთ იმდენ რიგს, რამდენიც მხრისთვის არის მოქსოვილი. შემდეგ მოვუკლებთ ორივე მხარეს და დავტოვებთ სახელოს თვლების რაოდენობას და მოვქსოვთ სახელოს. და ბოლოს, სამჯერ უფრო მსხვილი ძაფით, მახათით ამოვუხვევთ ირგვლივ ნაქსოვს.

ლამარა ვეკუა







ფასი 30 კაპ

ინდექსი 76178